გაზეთი ბევრისა, „ვერსია" ერთი

ვერსია

№76 (832) 8 – 9 ივლისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

დავით კირვალიძეს დაიჭერენ, გამოძიება კი დაკავებულების განადგურებას გეგმავს?!



გვ. 3

ტრაქტორების საქმეზე დაჭერილი პროფესორის სკანდალური წერილი გლდანის ციხიდან



მოშიმშილე ირაკლი წერეთელი მარგველაშვილს, ბურჯანაძესა და ნათელაშვილს ვაზელინის ჩუქებით ემუქრება?!

გვ. 9

„მოსახლეობის ნაწილი „განაცდა", ნაწილი „გაქოცდა", დანარჩენი საზოგადოება კი გამოშტერდა!"

გია ცაგარეიშვილი: „ბოკერიამ ევროსაბჭოს დეპუტატების გადმოსაბირებლად 22 მილიონი დახარჯა!"

„თუ ევროპაში მამაკაცებზე სექსუალური ძალადობა მიღებულია, ასეთ ევროპაში არაფერი გვესაქმება. არ მინდა ისეთი ევროპა, სადაც მიხეილ სააკაშვილი უყვართ!"

გვ. 5

რომელი ნაციონალები მფარველობდნენ ნარკოტრანზიტს

შსს-ს უპრეცედენტო ოპერაცია — 116 კგ „ჰეროინი", საერთაშორისო ნარკოტრეფიკი და ქართული ნარკობიზნესის 700 მილიონი დოლარი

გვ. 4

ნაზი შამანაურის მკვლელობის საიდუმლო

გვ. 10

„გამატიტვლეს ყველას თვალწინ... თმით მათრიეს... მუცელში მცემდნენ..."

შსს-ს წარმომადგენლებს, შესაძლოა, დიპლომატიური სტატუსი მიენიჭოთ

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს, შესაძლოა, დიპლომატიური სტატუსი მიენიჭოთ. ასეთი პირები პოლიციის/უსაფრთხოების ატაშე და მეკავშირე ოფიცერი იქნებიან, რომლებთან დაკავშირებითაც ცვლილებები „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ კანონში შედის. პოლიციის/უსაფრთხოების ატაშეს და მეკავშირე ოფიცერს თანამდებობაზე შინაგან საქმეთა მინისტრი საგარეო საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით დანიშნავს. აღნიშნულ პირებს მიენიჭებათ უფროსი და უმცროსი დიპლომატიური თანამდებობების შესაბამისი კატეგორიები და დიპლომატის სტატუსითა და გარანტიებით ისარგებლებენ.

ამასთან, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება წარმოდგენილია ახალ — „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონ-პროექტთან ერთად, რომლის მიზანია, უზრუნველყოს ეფექტური საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება.

კანონპროექტი აწესრიგებს საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ოპერატიულ-სამძებრო და პერსონალური ინფორმაციის გაცვლას, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებისა და სხვა პირების დაცვას, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებას და სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებს.

„ინტერპრესნიუსი“

ზურაბ ჯაფარიძის თქმით, საქართველოს მომავალი ურბანიზაციაა

საპარლამენტო უმცირესობის წევრის ზურაბ ჯაფარიძის აზრით, „სინამდვილეში, საქართველო არანაირი აგრარული ქვეყანა არ არის და ჩვენი მომავალი ურბანიზაციაა“.

„ჯერ კიდევ ჩვენს მენტალობაში ჩვენ გვჯერა, რომ საქართველო არის აგრარული ქვეყანა იმის გამო, რომ საქართველოში მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს რეგიონებში. სინამდვილეში, საქართველო არანაირი აგრარული ქვეყანა არ არის. საქართველო აგრარულ ქვეყანად აქცია რუსეთის იმპერიამ. იმის გამო, რომ ჩვენ ვიყავით იმპერიის ნაწილი, ჩვენ დაგვტოვეს განვითარების გარეშე. საქართველოს აიძულებდნენ, რომ ის ყოფილიყო სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა. ჩვენ რომ ვყოფილიყავით თავისუფალი მსოფლიოს ნაწილი, შეიძლება, დღეს განვითარებული გვქონოდა ეკონომიკის აბსოლუტურად განსხვავებული სფეროები. საქართველოს მომავალი, გვინდა ეს თუ არა, არის ურბანიზაცია. ჩვენთან მოხდება ქალაქების გამსხვილება“, — განაცხადა ჯაფარიძემ.

„პირველი“

წალკაში ეკომიგრანტებს საბერძნეთიდან დაბრუნებული ბინის მეპატრონეები დაუპირისპირდნენ

წალკის რაიონის სოფელ სამებაში ჩასახლებულ ერთ-ერთ ეკომიგრანტის ოჯახს საბერძნეთიდან ჩამოსული ბინის მეპატრონეები დაუპირისპირდნენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ რაიონის გამგებელმა ჯონი საბაძემ განუცხადა, ბერძნები ზვიად ძირკვაძეს სახლის შეძენას სთავაზობდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, გასახლებით ემუქრებოდნენ, თუმცა მხარეები ფასზე ვერ შეთანხმდნენ.

გამგებლის ინფორმაციით, მოგვიანებით საბერძნეთის მოქალაქეები და ძირკვაძე ერთმანეთს ნასვამ მდგომარეობაში დაუპირისპირდნენ და მცირე შეხლა-შემოხლა მოხდა.

„ჩვენ ადგილზე, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად ვიმყოფებოდით და ყველა დამნაშავე პასუხს აგებს იმ ხულიგნობისთვის, რასაც ადგილი ჰქონდა სამებაში“, — აღნიშნა ჯონი საბაძემ.

„ინტერპრესნიუსი“

„ოცნება“, საკონსტიტუციო ცვლილებებით, პარლამენტზე პრემიერის დიქტატს ამყარებს?!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

6 ივლისის ბიძინა ივანიშვილის ურეკის რეზიდენციაში გამართული დახურული შეხვედრა შედეგიანად დასრულდა — ამის შესახებ მედიას კმაყოფილმა დავით უსუფაშვილმა და დავით ბაქრაძემ აცნობეს. როგორც ირკვევა, ოცნება-ნაციონალებს შორის რამდენიმე საკითხი შეთანხმდა: 1. უახლოეს მომავალში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შეიქმნება.
2. ნაციონალური მოძრაობის შემომწირველთა მიმართ სამართლებრივი დევნის შეჩერება. 3. ნაციონალების მიერ საპარლამენტო ბოიკოტი შეწყდება... ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის შემყურე, ძნელია, ბაქრაძის შეფასებებს დაეთანხმო, თუმცა როგორც საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი აცხადებს, „ეს იყო ძალიან გულახდილი და სასარგებლო დისკუსია და საუბარი. რა თქმა უნდა, ჩვენს შორის ფუნდამენტური განსხვავებები არსებობს მთელ რიგ საკითხებზე, მაგრამ ფაქტი, რომ ასეთი შეხვედრა და დიალოგი შედგა, პოზიტიურია. რაც უნდა დიდი იყოს განსხვავება ჩვენს შორის, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ქვეყნისა და საზოგადოების შერიგების, დამშვიდების, განვითარების გზაზე წაყვანა ევალება“.

„მინისტრებს, არჩევნების შემდეგ, კონტროლის პალატის დასკვნებითა და მსგავსი ბრალდებებით გადააყენებენ!“

ასეთი და კიდევ უფრო კოჰაბიტაციური იყო წინა დღეს, 5 ივლისს, ფართო წარმომადგენლობითი შეხვედრა სასტუმრო „რადისონში“, სადაც საპარლამენტო ოპოზიცია საერთოდ არ გამოცხადდა, დანარჩენები კი ნაკლებად „ოპოზიციურად“ გამოიყურებოდნენ. შეხვედრა კონსტიტუციაში შესატანი სამი ცვლილების განსასჯელად, კოალიცია „ქართული ოცნების“ საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიამ არასამთავრობო ორგანიზაციების, პარტიებისა და ჟურნალისტებისთვის დაგეგმა. ზომიერი პრეტენზიებით, თავშეკავებული კრიტიკითა და რამდენიმე ორიგინალური კომენტარით, თითქმის 4-საათიანი შეხვედრა კარგად ნარეპეტიციებ სპექტაკლს უფრო ჰგავდა, ვიდრე — ცოცხალ კამათს: ვინც ცვლილებების არსი გაიგო, დუმდა, ვინც ვერ გაიგო, ყველა მხარეს ნაწილობრივ ეთანხმებოდა... ნინო ბურჯანაძის პარტიამ შეხვედრა მინისკანდალით, დემონსტრაციულად ისე დატოვა, რომ საკუთარი პრეტენზიები არ დაუკონკრეტებია, „ნაციონალები“ კი განხილვაზე საერთოდ არ გამოჩენილან. მოკლედ, ეს საკონსტიტუციო ცვლილებები სამ ძირითად თემას მოიცავს: პრეზიდენტისა და პარლამენტის, პრემიერისა და პარლამენტის ურთიერთობის დაბალანსება და საკონსტიტუციო უმრავლესობის 3/4-მდე გაზრდის ნაცვლად, 2/3-ზე დატოვება. ასევე, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს, რომელსაც აქამდე მხოლოდ მინისტრისა და პარლამენტარის პოსტის დაკავება შეეძლო, ამ ცვლილებებით, პრემიერობა, პრეზიდენტობა და პარლამენტის თავმჯდომარეობაც შეეძლება. ყველაფერ ამაზე, როგორც „ოცნება“ ჯერ კიდევ 2012 წლის ოქტომბერში, შემდეგ თებერვალში და ბოლოს, მაისში გვპირდებოდა, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას უნდა ემსჯელა, რომელიც ჯერაც არ შექმნილა.

საპარლამენტო „ოცნების“ კომენტარებიდან ყველას ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს პარლამენტმა გავლენა დაიბრუნა და ერთპიროვნულად აღარც პრეზიდენტს ემორჩილება და არც პრემიერს დაემორჩილება, რაშიც თავად „ოცნებელებსაც“ ეჭვი ეპარებათ. საქმე ისაა, რომ არ გადაიხედა მთავარი — მთავრობისა და პრემიერისთვის უნდობლობის გამოცხადების უაზროდ ჩახლართული პროცედურა, რომლის შეცვლაც, ამდენი საკონსტიტუციო ცვლილების აუცილებლობას აღარ დააყენებდა... ერთი სიტყვით, ბიძინა ივანიშვილს პრემიერის პოსტიდან პარლამენტი ვერ დაითხოვს! ეს კარგია თუ ცუდი, სხვა თემაა, ფაქტია, რომ პარლამენტი ისევ დაქვემდებარებულია და ამის შესახებ „ვერსიასთან“ ღიად ქრისტიან-დემოკრატი ლევან ვეფხვაძე საუბრობს:

— ფუნდამენტურს არ ცვლიან — პარლამენტს არ აქვს საშუალება, ბიძინა ივანიშვილი გადააყენოს! ზუსტად ამიტომ არ იცვლება ეს კანონი. ამიტომ „ოცნებამ“ დრო სპეციალურად გაწელა, რომ საკონსტიტუციო კომისიამ მუშაობა ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მერე დაიწყოს. შემდეგ, ეს კომისია ერთი წელი იმუშავებს, ამასობაში, „ოცნება“ ადგილობრივ არჩევნებსაც გადააგორებს და ამის მერე წავა ივანიშვილი პოლიტიკიდან. საერთოდ, ვფიქრობ, სხვადასხვა პარტიის ლიდერ მინისტრებს არჩევნების შემდეგ კონტროლის პალატის დასკვნებითა და მსგავსი ბრალდებებით გადააყენებენ. არჩევნების მერე კოალიცია, დიდი ალბათობით, დაიშლება და ივანიშვილიც კარგად ხვდება, რომ მას უმრავლესობა აღარ ეყოლება.

ვერსიანიუსი

მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოს გარშემო ბინძური თამაში მიმდინარეობს!“

„საქართველოს გარშემო სტრატეგიული ბინძური თამაში მიმდინარეობს“, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ახალქალაქში, რკინიგზის სადგურის მშენებლობის მიმდინარეობის გაცნობის შემდეგ განაცხადა და აღნიშნა, ბინძური თამაშია ის, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა შეფერხდა, ხოლო აფხაზეთის გავლით რკინიგზა იხსნება, რაც საქართველოს ევროპაში გასვლას ხელს უშლის.

„ამ რკინიგზის შეფერხება ნიშნავს იმას, რომ ჩვენ დავკარგეთ ავღანური ტვირთები, რომელიც მოდის მომავალი წლიდან და რომელიც იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის, რომ საქართველოს ჰქონოდა ეკონომიკური ზრდა. ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ ამ რკინიგზას, ზოგადად, ექმნება პრობლემა, რადგან როდესაც ასე ინტენსიურად ვლაპარაკობთ, რომ აფხაზეთზე გამავალი რუსეთ-საქართველოს რკინიგზა უნდა გავხსნათ, პრაქტიკულად, ეს არის დროის წინააღმდეგ მუშაობა. რუსეთს აწყობს, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა შეფერხდეს, სამაგიეროდ კი, გახსნას აფხაზეთის მონაკვეთი ჩვენი რკინიგზის და, პრაქტიკულად, პლაცდარმი გაიკეთოს კავკასიაში, იმის მაგივრად, რომ საქართველომ გაიხსნას გზა ევროპაში. ეს არის ძალიან სტრატეგიული, ბინძური თამაში საქართველოს გარშემო. არ მინდა, საქართველოს მთავრობამ ეს თამაშები ითამაშოს. ჩვენ, პრაქტიკულად, ბოლომდე მიყვანილი გვქონდა საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის ძალიან დიდი ეკონომიკური პროექტი, რომელიც თითოეულ ჩვენს მოქალაქეს გაუმართავდა ხელს, აქაურობას საერთოდ ბუმის პირობებში გადაიყვანდა და საქართველოს გაუხსნიდა გზას ევროპაში. ამ თამაშებით მე არ მინდა, რომ ეს ფანჯარა მოიკეტოს. მე ვნახე, რომ დღეს იქ ხალხი ცდილობს და მუშაობს, მაგრამ მეათედი მასშტაბიც არ არის იმისთვის, რომ ეს დროზე დამთავრებულიყო. სამწუხაროდ, წელს ეს უკვე აღარ მოესწრება. მოვუწოდებ მთავრობას, განსაკუთრებული ზომები მიიღოს იმისთვის, რომ იქნებ, მომავალი წლის ბოლომდე მაინც მოასწრონ მისი დასრულება“, — აღნიშნა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ის საპრეზიდენტო ვადის დასრულებას სწორედ ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის გახსნით აპირებდა. **„იმის გამო, რომ სერიოზული შეფერხებებია დაფინანსებაში, იმის გამო, რომ ბევრი გაურკვეველი საკითხი წარმოიქმნა უცებ აზერბაიჯანულ მხარესთან, ამ რკინიგზის დასრულება წელს ვეღარ მოხდება. ვვარაუდობდი, ჩემი პრეზიდენტობა დამემთავრებინა სწორედ იმით, რომ გაგვეხსნა ეს დიდი მნიშვნელობის რკინიგზა. ეს რკინიგზა საქართველოს შეაერთებდა ევროპასთან. ეს რკინიგზა რეალურად, არის ჩინეთი-ლონდონის რკინიგზა, მაგრამ მთელ ევროპაში აქვს უზარმაზარი მნიშვნელობა და ის საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამის ნაცვლად, ჩვენ გვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ ეს რკინიგზა ვერ დამთავრდება ვერც წელს და როგორც გამოჩნდა, ვერც მომავალ წელს“,** — აღნიშნა სააკაშვილმა.

„ინტერპრენიუსი“

დავით კირვალიძეს დაიჭერენ, გამოძიება კი დაკავებულების განადგურებას გეგმავს?!

ტრაქტორების საქმეზე დაჭერილი პროფესორის სკანდალური წერილი გლდანის ციხიდან



მაია მიშელაძე
593-51-90-12

„აღნიშნულ წერილს ვწერ გლდანის #8-ე სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, სადაც ვიმყოფები წინასწარ პატიმრობაში და წაყენებული მაქვს ბრალდება 182-ე მუხლით — ხელის შეწყობა დიდი რაოდენობით სახელმწიფო თანხის გაფლანგვაში, რომელიც არ გვიმტკიცდება, ვინაიდან დანაშაულის ვერავითარი დამამტკიცებელი საბუთი ვერ წარმომიდგინეს. ასეთივე ბრალდებით არიან დაკავებულები ჩემი კოლეგები, პროფესორები — ზაზა მახარობლიძე და ომარ თედორაძე... ჩვენ, მე და ზემოთხსენებული პროფესორები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვების პროცესში არ ჩავრეულვართ, ჩვენ არც ტექნიკის ფასი ვიცოდით და არც შემოსატანი ტექნიკის რაოდენობა. ჩვენ ტექნიკის შემსყიდველი ჯგუფისთვის რომელიმე, კონკრეტული მარკის ტექნიკური საშუალების შესყიდვაზე რეკომენდაცია არ მიგვიცია... როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, შემსყიდველ კომისიას დილერმა „ჯი თი გრუპმა“ თურქეთში წარმოებული „ნიუ ჰოლანდის“ მარკის 110-ცხენისძალიანი ტრაქტორები შესთავაზა. როდესაც მისი ტექნიკური მახასიათებლები ვნახეთ, აღმოჩნდა, რომ ვერ აკმაყოფილებდა სახნავი ტრაქტორებისთვის წაყენებულ მოთხოვნებს... ამიტომ შემოთავაზებულ ტრაქტორებს უარყოფითი რეკომენდაცია მივეცით, რის გამოც „ჯი თი გრუპის“ ხელმძღვანელმა, ლევან გოგსაძემ გვიჩივლა — ბრალი დაგვდო მის მიერ შემოთავაზებული ტრაქტორების უგულებელყოფაში და ჩეხური კომპანია „ზეტორის“ წარმოებულ, 120-ცხენისძალიანი ტრაქტორების ლობირებაში დაგვადანაშაულა. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ლევან გოგსაძემ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა ორივე ტრაქტორის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ... ამ მცდარი ტექნიკური მახასიათებლების საფუძველზე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტებმა ომარ ბედიამ და ელგუჯა შაფაქიძემ დაწერეს დასკვნა, რაც ჩვენი დაკავების საფუძველი გახდა... დაკავების წინა პერიოდში, ჩვენი დაკითხვა მიმდინარეობდა ნაციონალების მეთოდებით, გამომძიებელ ჯამასპიშვილისა და პროკურორ რიჟამაძის ხელმძღვანელობით, ასეთი ფრაზებით: „გაგატელევიზორებთ“, „კარიერას დაგინგრევთ“, „ოჯახის წევრებზე ზეწოლას მოვახდენთ“, თუ არ მივცემდით მათთვის სასურველ ჩვენებას... როგორც ჩანს, მე და ჩემი კოლეგები გავხდით ქვეყნის ამჟამინდელ მთავრობაში, კლანური დაპირისპირებისა და პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი, რომლებმაც ვერ აიტანეს სოფლის მეურნეობის მინისტრის, დავით კირვალიძის მიერ, წარმატებით დაწყებული პროექტები. მათ უნდოდათ კირვალიძის „ჩაძირვა“ ჩვენი საშუალებით, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ჩვენ, ხანშიშესული ადამიანები ვართ, ბოლოს და ბოლოს, გატყდება ჩვენი ჯანმრთელობა და ადამიანის მკვლელობასაც კი დავიბრალებთ“, — ესაა მცირე ამონარიდი იმ წერილიდან, რომელიც საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა, ოთარ ქარჩავამ, გლდანის მე-8 იზოლატორიდან მისწერა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს. „ვერსია“ აგრძელებს ჟურნალისტურ მოკვლევას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკანდალთან დაკავშირებით, რის გამოც 2013 წლის 1 მაისს, ვაჟა ნახუცრიშვილი, მამუკა ივანიაძე, ომარ თედორაძე, ბესიკ თეთვაძე, ოთარ ქარჩავა, ზაზა მახარობლიძე, გივი ქაიხოსროშვილი და თეო ურუშაძე დააკავეს. ამჯერად „ვერსიას“ დაკავებულების ადვოკატები — ლევან სამუშია და სოსო ბარათაშვილი ესაუბრებიან, რომლებიც ყურადღებას საქმეში არსებულ ახალ დეტალებზე ამახვილებენ.

პროკურატურა ზურაბ ადეიშვილის მეთოდებს იყენებს?

ადვოკატი ლევან სამუშია, რომელიც ორ პროფესორს — ომარ თედორაძესა და ზაზა მახარობლიძეს იცავს, „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, პროკურატურაში არაფერი შეცვლილა:

— როგორც იცით, ეს გახმაურებული გამოძიება მარტში დაიწყო, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნები და პროფესორები კი 1 მაისს დააკავეს, ახლა ივლისია და გამოძიებამ სასამართლოს სხდომა 5 აგვისტომდე გააგრძელა. დადასტურებულად შემიძლია გითხრათ, რომ გამოძიებას მტკიცებულება არ აქვს. ეს მაღალი თანამდებობის სახელმწიფო ჩინოვნიკების მიერ მიზანმიმართული ბრძოლაა ბიზნესის ლობირების მიზნით. სხვა ახსნა ამ საქმეს არ გააჩნია, საუბარია ორი ტიპის — 120-ცხენისძალიან ჩეხურ „ზეტორსა“ და „ნიუ ჰოლანდის“ თურქული წარმოების, 110-ცხენისძალიან ტრაქტორებზე, დაკავებულებს ედავებიან, რატომ არ შემოიყვანეს შედარებით იაფფასიანი და დაბალხარისხიანი ტრაქტორები. გამოძიებას ვადის გაგრძელება იმიტომ უნდა, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ხანდაზმული ადამიანები მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს და იმ ზომამდე მიიყვანოს, რომ საპყრობილესგან თავის დაღწევის მიზნით, ხელი ნებისმიერ ჩვენებაზე მოაწერონ, თუმცა მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა, რომ პროფესორები ამაზე წამსვლელები არ არიან, ისინი საკუთარი ღირსების, რეპუტაციის დაცვასა და სიმართლის დამტკიცებას აპირებენ!

— ბატონო ლევან, გამოძიება დაკავებულ პროფესორებს კონკრეტულად, რას ედავება?

— ვიდრე ამ კითხვაზე გიპასუხებთ, გეტყვით, რომ ამ ადამიანებს სატენდერო პირობებსა და ტრაქტორების თანხასთან შეხება საერთოდ არ ჰქონიათ. სატენდერო კომისიის წევრებმა ამ პროფესორებს ჰკითხეს, თუ რა სახის ტექნიკის შემოყვანა შეიძლებოდა საქართველოში, რათა პრემიერ-მინისტრის უშუალო ხელმძღვანელობით, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა განხორციელებულიყო. პროფესორებმა საქართველოში არსებული ნიადაგები შეაფასეს და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარამეტრები განსაზღვრეს. რომელიმე კონკრეტული კომპანიის გამოშვებულ, კონკრეტული ტიპის ტრაქტორზე რეკომენდაცია არ გაუციათ. მათ განაცხადეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, საქართველოში 117-დან 120-ცხენისძალიანი ტრაქტორები შემოეყვანათ, რადგან ქვეყანაში მძიმემიწიანი ნიადაგია.

> **იცით, ამ ხალხს რას ედავებიან? — საკუთარი აზრი რატომ გამოთქვითო, საკუთარი მეცნიერული მოსაზრების გამოთქმის გამო ჩასვეს ეს ხალხი ციხეში! ამ გამომძიებლებისა და პროკურორების ხელში იმედი არ მაქვს, მაგრამ თუ გამოძიება ობიექტურად წარიმართება, ყველა მიხვდება, რომ ამ საქმეში კონკრეტული თანამდებობის პირების ინტერესები ჩანს.**

— ვინ არიან ეს თანამდებობის პირები, ვისი ინტერესები იკვეთება ამ საქმეში?

— ეს რომ გითხრათ, გარკვეული მტკიცებულებებიც უნდა მქონდეს, მაგრამ ამ საქმეში აშკარად ჩანს გარკვეული ბიზნესჯგუფებისა და მაღალი თანამდებობის პირების ინტერესი.

დასასრული მე-7 გვერდზე

ლევან კოღუაშვილის ფილმმა „კარლოვი ვარის“ ფესტივალზე წარმატება მოიპოვა

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, კარლოვი ვარიში 2 ივლისს, ევროპული ფილმების ორდღიანი პრეზენტაციები და პიტჩინგები დასრულდა. სექციაში works in progress ბარანდოვის კინოსტუდიის 10 000 ევროს ოდენობის პრიზით ლევან კოღუაშვილის ფილმის პროექტი „ბრმა პაემნები“ დაჯილდოვდა, რომელიც კომპანია „კინოიბერიკას“ პროდიუსერმა ოლენა იერშოვამ წარადგინა. რეჟისორმა ფილმის გადაღება უკვე დაასრულა და ამჟამად პოსტპროდუქციაზე მუშაობს.

გავლენიანმა გამოცემამ „ვერაიეთი“ ლევან კოღუაშვილის ამ წარმატებას სტატია მიუძღვნა, სადაც ავტორი საუბრობს ქართული კინოს ბოლოდროინდელ აღმავლობაზე. ის წერს, რომ ქართულმა კინომ ამ პროექტით ჩაანაცვლა რუმინეთი, როგორც ამომავალი ვარსკვლავი ევროპულ კინოინდუსტრიაში.

ჯილდოს მოსაპოვებლად 19 ფილმის პროექტი იბრძოდა.

„ინტერპრესნიუსი“

ცესკო-ს მონაცემებით, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას 3,537,249 ამომრჩეველი მიიღებს

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2013 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის ოლქების მიხედვით ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა. ცესკო-ს ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით 84 საარჩევნო ოლქია, მათ შორის 10 თბილისშია. საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა რაოდენობა 3,537,249-ს შეადგენს.

ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტი ამომრჩეველი 158, 502 — ქუთაისის საარჩევნო ოლქშია რეგისტრირებული, ყველაზე ცოტა 5,776 ამომრჩეველი კი — ყაზბეგში. თბილისში ყველაზე მეტი ამომრჩეველი 140,304 — სამგორის საარჩევნო ოლქშია რეგისტრირებული, ყველაზე ნაკლები — 43,831 კი კრწანისის საარჩევნო ოლქში.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები 27 ოქტომბერს არის დანიშნული, შესაბამისი განკარგულება პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 4 ივლისს გამოსცა.

„ინტერპრესნიუსი“

ყველაზე საიმედო „ბოინგ 777“-მა ავტოკატასტროფა განიცადა

სან-ფრანცისკოში ავიაკატასტროფას 2 ადამიანი ემსხვერპლა. BBC –ის ინფორმაციით, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი და საიმედო ხომალდის, „ბოინგ 777“-ის უკანა ნაწილი აეროპორტში დაშვებისას საფრენი ზოლის დამბას შეეხო, რის შემდეგაც ჩამოვარდა.

ბორტზე 291 მგზავრი და ეკიპაჟის 11 წევრი იმყოფებოდა. ჰოსპიტალიზებულია 181 ადამიანი, რომელთაგან 10 კრიტიკულ მდგომარეობაშია, მათ შორის 2 ბავშვია.

სამხრეთ კორეული ავიაკომპანია „აზიანა ეარლაინსის“ კუთვნილი თვითმფრინავი სან-ფრანცისკოში სეულიდან მიფრინავდა. სამხრეთ კორეის ხელისუფლების წარმომადგენელთა ინფორმაციით, დაღუპულები ჩინეთის მოქალაქეები არიან. ავიაკატასტროფის ზუსტი მიზეზი, ამ ეტაპზე, უცნობია. აეროპორტში აცხადებენ, რომ თვითმფრინავმა ავარიული დაშვება განახორციელა.

„ინტერპრესნიუსი“

რომელი ნაციონალები მფარველობდნენ ნარკოტრანზიტს

ირუსუდან შელია
557-100-768

რამდენიმე დღის წინ, შს სამინისტრომ საერთაშორისო ნარკოტრაფიკის ფაქტი გამოავლინა — უწყების ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ახალციხის ტერიტორიაზე თურქეთისა და მოლდოვის რესპუბლიკების ორი მოქალაქე დააკავეს, რომელთაც სატვირთო მანქანის ძარაზე დამონტაჟებულ სპეციალურ სამალავებში, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, კერძოდ, 500-გრამიან შეკვრებად დაფასოებული 232 ერთეული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი", საერთო წონით 116 კგ. გადაჰქონდათ. გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა მიმდინარე წლის 3 ივლისს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ნინოწმინდის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით გადმოკვეთეს. საქმეზე, სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით, გამოძიება მიმდინარეობს.

შსს-ს უპრეცედენტო ოპერაცია — 116 კგ „ჰეროინი", საერთაშორისო ნარკოტრეფიკი და ქართული ნარკობიზნესის 700 მილიონი დოლარი

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნარკოტრანზიტის შესახებ პირველად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ალაპარაკდა. **„ნარკოტიკების ტრანზიტის მხრივ, სომხეთი მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს, რადგან ქვეყანა იზოლაციაში იმყოფება, თუმცა ამ მიმართულებით საქართველო და აზერბაიჯანი მნიშვნელოვანი ტრანზიტორები არიან. საქართველოში მიწისქვეშა ნარკოტიკული ნივთიერებების მწარმოებელი ლაბორატორიებიც ფუნქციონირებს",** — ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო სტრატეგიის მიერ მომზადებულ დასკვნაში, სადაც ეჭვი 2010 წლის ნოემბერში, საქართველოსა და ირანს შორის უვიზო მიმოსვლის შეთანხმების შესახებაცაა გამოთქმული. ამასთან, დასკვნაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ წინა ხელისუფლების აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, საქართველოში მეტი რაოდენობის ნარკოტიკის შემოდინება გამოიწვიოს: **„შეშფოთების საფუძველი, მართლაც არსებობს, რომ ირანსა და საქართველოს შორის გამარტივებული მიმოსვლა ნარკოგადამზიდავებს შესაძლებლობას მისცემს, კავკასიის გავლით ახალი მარშრუტი მოსინჯონ".**

სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო სტრატეგიის კვლევის გარდა, საქართველოში არსებული ნარკოტრაფიკის პრობლემებზე 2009 წლის სექტემბერში, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი გაერო-მ გამოსცა, რომელშიც ნათქვამია, რომ ყოველწლიურად, ევროპაში, საქართველოს გავლით, 7 ტონა „ჰეროინი" შედის. გაერო-ს მოხსენებაში „ჰეროინის" მარშრუტიც დეტალურად დადგინდა — ავღანური წარმოშობის ნარკოტიკი საქართველოში ძირითადად ორი გზით ხდება: ავღანეთი-ირანი-აზერბაიჯანი-საქართველო ან ავღანეთი-თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო. საუბარია იმაზეც, რომ საქართველოში „ჰეროინი" ძირითადად წითელი ხიდის გავლით შემოდის და ფოთის პორტიდან, ბორნით, ევროპისკენ იგზავნება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირდაპირი საბორნე მიმოსვლა უკრაინის ილიჩევსკისა და ბულგარეთის ბურგასის პორტებთან აქვს, შესაბამისად, საფუძველს არაა მოკლებული ვარაუდი, რომ საქართველოდან გასულ ბორნებს ჰეროინი სწორედ ამ პორტებში ჩააქვთ!

აღნიშნული ვარაუდი განსაკუთრებით მას შემდეგ გამყარდა, რაც 2008 წლის 16 დეკემბერს BOSTONHERALD.COM-მა ინფორმაცია გაავრცელა, რომ ბულგარეთში მესაზღვრეებმა სატვირთო მანქანებში დამალული 400-კილოგრამი „ჰეროინი" ამოიღეს, რომელიც ბულგარეთში ფოთის პორტიდან ბორნით ჩაიტანეს.

ინფორმირებული იყო თუ არა წინა ხელისუფლება საქართველოში ნარკოტიკების გადაზიდვის შესახებ, ანუ საბაჟო ნარკობიზნესში ჩართული პირების სერიოზული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა? — ამ შეკითხვაზე დღეს პირდაპირ არავინ პასუხობს, თუმცა იგივე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი მერაბიშვილისდროინდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციას გაურკვეველს უწოდებდა და სახელისუფლო დონეზე კორუფციულ გარიგებებზეც მიანიშნებდა: **„საქართველოს მთავრობას ტრანზიტით გამავალი ნარკოტიკების თაობაზე სანდო სტატისტიკური მონაცემები არ გააჩნია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიუთითებს, რომ 2004-2006 წლებში და 2007 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში, ნარკოტიკების მნიშვნელოვანი რაოდენობა არ ამოუღია. შესაძლოა, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანა არ არის, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ მსგავსი სტატისტიკა პოლიციის არაადეკვატურ მუშაობასა და სახელისუფლო კორუფციაზე მიუთითებდეს".**

ძალოვანი სტრუქტურების ნარკობიზნესთან კავშირის შესახებ ინფორმაცია ქართულ მედიაშიც მუსირებდა. 2005 წელს, სოდ-ის ყოფილი თანამშრომლები — თემურ რევაზიშვილი და გიორგი ხუხია დეპარტამენტის უფროს ირაკლი კოდუასა და მის მოადგილე კახა მისირელს ნარკორეალიზატორებთან კავშირსა და მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებდნენ. თემურ რევაზიშვილის ინფორმაციით, ირაკლი კოდუამ მას ნარკოტიკების ერთ-ერთი გამსაღებლის წინააღმდეგ საგამოძიებო მოქმედებების შეწყვეტა, ნარკოტიკების რეალიზატორებთან თანამშრომლობა და რეალიზაციიდან შემოსული თანხების განაწილება შესთავაზა, რაზეც რევაზიშვილმა უარი განაცხადა და სამსახურიდან წასვლის შესახებ პატაკიც დაწერა. მიუხედავად ამისა, ერთი კვირის შემდეგ, თანამშრომლების დაჟინებული თხოვნის გათვალისწინებით, თემურ რევაზიშვილი სამსახურში დაბრუნდა. რევაზიშვილის განცხადებით, 21 მაისს, მისმა თანამშრომელმა და მეგობარმა კახა მირუაშვილმა წყნეთისკენ მოტყუებით წაიყვანა, სადაც მოგვიანებით, ერეკლე კოდუა და კახა მისირელიც მივიდნენ. რევაზიშვილის თქმით, ოპერატიული დეპარტამენტის შვიდმა თანამშრომელმა სასტიკად სცემა. შემდეგ კი, მოკვლა დაუპირეს, თუმცა თავს გაქცევით უშველა.

საქართველოს ტერიტორიაზე მილიონობით დოლარის ღირებულების ჰეროინის უპრობლემოდ გადაადგილება მაშინდელი ხელისუფლების მფარველობის გარეშე შეუძლებლად მიაჩნია მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე **გია გაჩეჩილაძესაც**: **„როცა დასტურდება, რომ საქართველოს ტერიტორიიდან ევროპაში 7 ტონა „ჰეროინი" გადიოდა, 2,4 ტონა კი ადგილზე ტრიალებდა, გამოდის, რომ ქვეყანაში 9-10 ტონა სუფთა „ჰეროინი" მოძრაობს. მსგავს პირობებში კი, მაშინდელი შინაგან საქმეთა სამინისტრო გვარწმუნებდა, რომ წლის განმავლობაში მხოლოდ რვა კილო იქნა ამოღებული! სად ქრებოდა დანარჩენი „ჰეროინი"?**

დამოკიდებულების კვლევითმა ცენტრმა „ალტერნატივა ჯორჯიამ", ნარკოტრანზიტის პარალელურად, შავი ფულის ბრუნვაც გამოიანგარიშა:

„საშუალოდ, ქართველი ნარკომომხმარებლის ერთჯერადი დოზა 100-200 მილიგრამი სუფთა „ჰეროინია", რომელიც ე.წ. ჩეკებად იყიდება. ერთი ჩეკის ფასი საშუალოდ, 250 ლარია. საქართველოში ერთი აბი „სუბუტექსი", რომელიც ევროპაში 5 დოლარად იყიდება, 700 ლარი ღირს. არაოფიციალური მონაცემებით, ერთი გრამი „ჰეროინის" ფასი საქართველოში 500 ლარია. გაერო-ს დოკუმენტის მიხედვით კი, 2007 წელს ერთი გრამი „ჰეროინი" 350 დოლარი ღირდა. ჩვენი ქვეყნის ნარკობიზნესის შესაფასებლად ეს ფასი 2 ტონა „ჰეროინზე" რომ გავამრავლოთ, გავარვევთ, რომ ქართულ ნარკობიზნესში სულ ცოტა 700 მილიონი დოლარი ტრიალებდა".

გაერო-სა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების შემდეგ რა შეიცვალა ქვეყანაში ნარკოტრანზიტის მიმართულებით, რამდენად იქნება პრევენცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რამდენიმე დღის წინ დაკავებული ტრაილერი და კონკრეტულად, რა მექანიზმები შეიმუშავა მმართველმა გუნდმა ნარკობიზნესის სამართავად? — ამ შეკითხვებით „ვერსიამ" პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილს** მიმართა:

— როცა საქართველოში ნარკოტრანზიტის შესახებ გაერო-სა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებზე ვსაუბრობთ, ჩნდება მთავარი შეკითხვა — რას აკეთებდა წინა ხელისუფლება ამ საკმაოდ მძიმე დანაშაულებრივი სქემების აღსაკვეთად? დასავლელი პარტნიორები აქტიურად საუბრობდნენ, რომ საქართველოს გავლით ევროპაში ათი ტონა „ჰეროინი" გადიოდა, საიდანაც 2 ტონა ქვეყანაში რჩებოდა. მაშინდელი შსს, რომელიც თავს ნარკოტიკებთან ბრძოლით იწონებდა და სტატისტიკასაც ამაყად გვამცნობდა, წელიწადში, ქვეყანაში არსებული „ჰეროინის" მხოლოდ 0,07 %-ს ამოღებას ახერხებდა. ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლებაში ნარკობიზნესს საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები მფარველობდნენ.

— ნარკოტრანზიტის სქემა გაშიფრულია და უკვე დადგენილია, რომელი ყოფილი მაღალჩინოსანი მიეცემა პასუხისგებაში?

— გამოძიება მიმდინარეობს და დეტალური ინფორმაცია საზოგადოებისთვის ცნობილი მალე გახდება. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შევიტყვეთ, რომ ნარკოტრანზიტი ქვეყნისთვის საკმაოდ მძიმე პრობლემას წარმოადგენს. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია საქმეში არსებული ე.წ. ხვრელები. მთელი რიგი ქვეყნებისთვის საქართველოში უვიზო მიმოსვლა ადასტურებს, რომ მსგავს გადაწყვეტილებებს ნარკორეალიზატორების მოსაზიდად იღებდნენ. დიახ, რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ოდენობის ნარკოტიკებზეა საუბარი. ასე რომ, უნდა დადგინდეს, ვისგან მოდიოდა ეს ყველაფერი.

— რამდენიმე დღის წინ, საკმაოდ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება იქნა ამოღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პრობლემა თქვენთვისაც საკმაოდ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს...

— როცა მსგავსი მასშტაბის ნარკოტრანზიტს ებრძვი, პირველ რიგში, მტკიცე პოლიტიკური ნების გამოხატვაა აუცილებელი. ბუნებრივია, სრულებით აღკვეთა შეუძლებელია, თუმცა არსებობს თუნდაც საერთაშორისო მექანიზმები, რითიც ქვეყანაში ამ დანაშაულებრივ სქემას დავამარცხებთ. ამ კონტექსტში გადაიხედება მიგრაციის შესახებ კანონიც. როცა ვამბობთ, რომ ევროპისკენ მივილტვით, დაუშვებელია, პარალელურად, დასავლეთს ნარკოტიკებით „ვამარაგებდეთ". მოკლედ, ყველაფერი გაკეთდება, რომ ევროპასა და ჩვენ შორის ეს ბარიერიც სამუდამოდ გაქარწყლდეს.

ვერსიანიუსი

შსს-მ მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის ფაქტზე ორი პირი დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე იბრაჰიმ ქ. და აზერბაიჯანის მოქალაქე სულთან ქ. მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობის ფაქტზე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში დააკავეს.

დაკავებულებს მათი მართვის ქვეშ მყოფ ავტობუსში მოწყობილი სპეციალური სამალავის საშუალებით, საზღვარზე უკანონოდ გადაჰყავდათ უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე ნარგიზა ი.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულები სასაზღვრო-საემიგრაციო გამტარ პუნქტ „სარფში" დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ იბრაჰიმ ქ-მ 2012 წლის ოქტომბერში საპასპორტო კონტროლის გვერდის ავლით, სასაზღვრო-საემიგრაციო გამტარ პუნქტ „სარფი"-ს გავლით, გადაიყვანა სამგზავრო ავტობუსით უზბეკეთის მოქალაქე.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება იბრაჰიმ ქ-ს მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის და სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობის ფაქტზე (სსსკ-ის 344-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით და 19-344-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით), ხოლო სულთან ქ-ს მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 19-344-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი"

გია ცაგარეიშვილი: „ბოკერიამ ევროსაბჭოს დეპუტატების გადმოსაბირებლად 22 მილიონი დახარჯა!“

რუსუდან შელია
557-100-768

ამბობს, რომ კოალიციაში ბიძინა ივანიშვილისადმი მონური დამოკიდებულება არავის აქვს და პრემიერი მთავრობის ფარული მმართველი ვერასოდეს გახდება. ვინ სთხოვს ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში თვითმმართველობის არჩევნებამდე დარჩენას და რა ინფორმაცია მიაწოდა პროკურატურას სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით? — „ვერსიის“ კითხვებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ცაგარეიშვილი პასუხობს.

— კოალიცია იმდენად ჭრელი და ეკლექტურია, რომ წარმოუდგენელია, ექვსმა პარტიამ ჩრდილში მდგომი ადამიანის ირგვლივ იტრიალოს! ბიძინა ივანიშვილის სიტყვა, მისი პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაშიც, მმართველი გუნდისთვის მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ ივანიშვილისგან რუხ კარდინალს ან სუსლოვს ვერავინ გამოძერწავს.

— ბატონო გია, რატომ გავიწყდებათ, რომ მაშინ, როცა საზოგადოება ბიძინა ივანიშვილზე მხოლოდ ლეგენდებს ჰყვებოდა, ის პოლიტიკაში სწორედ ფარულად იყო ჩართული და ნაცმოძრაობას მხოლოდ რჩევებს კი არა, როგორც თვითონ ამბობს, ფულსაც აძლევდა...

— ბიძინა ივანიშვილი ნაცმოძრაობის იდეურ ხედვებს არასოდეს აყალიბებდა, უბრალოდ, ხელისუფლებას ფინანსურად ეხმარებოდა. ბოკერია-ჩერგოლეიშვილის ან ბენდუქიძის იდეოლოგია ბიძინა ივანიშვილის მიერ ნასაზრდოები სულაც არ არის. ასე რომ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, საქართველო ცხოვრებას ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს. რაც მთავარია, საზოგადოებას შეურაცხყოფას არ მივაყენებ და შევარადნაძის მსგავსად, რომელსაც ნახევარმა თბილისმა დაუჩოქა, არასოდეს ვეტყვი, ბიძინა ივანიშვილსაც დარჩენა შეეხვეწე-მეთქი. არც კოალიციაშია ივანიშვილისადმი მონური დამოკიდებულება, უბრალოდ, გვინდა, რომ პრემიერის პოლიტიკიდან წასვლით ქვეყანაში გარკვეული რისკები მინიმუმამდე დავიყვანოთ. მიმაჩნია, რომ პრემიერმა ეს ნაბიჯი ადგილობრივი არჩევნების შემდეგ უნდა გადადგას და არა — საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე.

— ადგილობრივ არჩევნებში წარმატების დამოუკიდებლად მიღწევის იმედი არ გაქვთ და გამარჯვებისთვის ივანიშვილის ფაქტორი კიდევ ერთხელ უნდა გამოიყენოთ?

— სულაც არა, დარწმუნებული ვარ, გამარჯვებას ივანიშვილის გარეშეც მივაღწევთ, მაგრამ გვინდა, რომ სახელმწიფო მდგრადობა რისკის ქვეშ მცირედითაც არ დადგეს. სხვათა შორის, ამ საკითხის რამდენიმე განხილვას შევესწარი.

> **როცა პრემიერმა კოალიციის წევრებს განუცხადა, შემოდგომაზე პოლიტიკიდან მივდივარო, ამან გუნდში საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მოგვიანებით, ნაწილი ბიძინა ივანიშვილის სისწორეში დარწმუნდა, ჩემნაირები კი ცდილობდნენ, პრემიერისთვის ეთქვათ, თუ მიდიხარ, მომავალი წლის მაისის შემდეგ წაბრძანდიო.**

— პრემიერის პოლიტიკაში 2014 წლის გაზაფხულამდე დარჩენას მხოლოდ „თავისუფალი დემოკრატები“ ითხოვთ?

— ამ აზრს სხვა პარტიებიც იზიარებენ. კოალიციაში არ არსებობს საფრთხე, რომ ერთმანეთს თავ-პირს დავუსისხლიანებთ, თუმცა ბუნებრივია, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი გვაქვს და ეს აბსოლუტურად ჯანსაღი პროცესია. კოალიციის სიმშვიდეს კობა დავითაშვილი არღვევს ხოლმე, რასაც მივესალმები.

— ისე, სწორედ განსხვავებული აზრის გამო, კობა დავითაშვილი არაერთხელ აღმოჩნდა კოალიციიდან გარიცხვის ზღვარზე...

— კი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, წავიდა? არც მომავალში წავა, რადგან ამის გამო არავინ დევნის და არც ლანძღავს. კოალიცია მონათა გაერთიანება არ არის, რომელსაც მეფე ივანიშვილი ბეჭებზე შოლტს ურტყამს. ასე ნაციონალური მოძრაობის დროს ხდებოდა — მიხეილ სააკაშვილი არა მხოლოდ გუნდის წევრებს, მის მიერ შექმნილ ფსევდო-ოპოზიციონერებს, ქრისტიან-დემოკრატებსა და თორთლაძესაც როზგავდა. ბიძინა ივანიშვილისგან მსგავს ბატონობას კოალიცია არ მიიღებს და ამის სურვილი არც პრემიერს აქვს. ოპოზიციის დევნასა თუ მართვაზე ხომ საუბარიც ზედმეტია.

— პრემიერის განცხადება, თუ ნაცმოძრაობა ხელისუფლების ოპონირებას ვერ შეძლებს, კოალიცია დაიშლება და ოპოზიციურ ძალასაც მივიღებთო, მართული ოპოზიციის შექმნის მცდელობას არ ნიშნავს?

— ნაცმოძრაობა აუცილებლად დასამარდება, რადგან ამ ადამიანების გამოსწორება შეუძლებელია და, კარგი იქნება, თუ მსგავსი ილუზია ბიძინა ივანიშვილს აღარ ექნება. რაც შეეხება კოალიციის დაშლის საკითხს, ივანიშვილი ფიქრობს, რომ კოალიცია, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაიშლება, რაშიც ეჭვი მეც არ მეპარება. დიდხანს ერთ ჭერქვეშ ცოლ-ქმარი ვერ ძლებს და შეუძლებელია, სხვადასხვა პარტიამ, წლების განმავლობაში ერთმანეთთან გაძლოს. დიახ, ყველაფერს თავისი ლოგიკური დასასრული ექნება, მაგრამ მანამდე ხალხისთვის მიცემული დაპირებები უნდა შევასრულოთ. კარგად მესმის, რატომ ვერ იქნება კარგი ოპოზიციონერი როგორც ნინო ბურჯანაძე, ასევე კახა კუკავა — მათთვისაც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში გადარჩენის ერთადერთი ღუზა ბიძინა ივანიშვილი იყო, ამიტომაც პრემიერთან ოპონირება უჭირთ. ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა არასაპარლამენტო ოპოზიციასაც გააააქტიურებს. განსაკუთრებით ამაზრზენია, რომ ჭკუას ის ადამიანები გვასწავლიან, რომლებიც მკვდრებს სახურავებზე აწყობდნენ. დღეს ვიღაც შვედი დეპუტატი ევროსაბჭოს ტრიბუნიდან ცდილობს, ვანო მერაბიშვილი, რომლის მეუღლემ ახალგაზრდა კაცი მოკლა, ნელსონ მანდელად გამოაცხადოს.

— და ხელისუფლების პრობლემა არ არის, რომ დასავლეთს ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავების შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას ვერ აწვდის?

— რა გავაკეთო, ყბედად ვიქცე და შვედ დეპუტატს ავუხსნა, რატომ დავაკავეთ ვანო მერაბიშვილი? სხვა საქმე არაფერი მაქვს? სტოქჰოლმიდან ნუ მეუბნებიან, რომ ვანო მერაბიშვილის დაკავებით აღშფოთებულები არიან, ჩამობრძანდნენ და ყველა საქმე ერთად განვიხილოთ. დეკლარაციაში ვანო მერაბიშვილის შესახებ დასკვნის დამატება მას წამებულის გვირგვინს ვერ დაადგავს!

> **არ მახსოვს, თუნდაც ეს შვედი დეპუტატი 7 ნოემბრის დარბევით ან 26 მაისის სპეცოპერაციით ან თუნდაც გირგვლიანის ოჯახის გაწყვეტით დაინტერესებულიყო, თუმცა ჩემთვის ყველაფერი გასაგებია — ბატონმა ბოკერიამ ევროსაბჭოს დეპუტატების გადმოსაბირებლად, მხოლოდ 2012 წელს, 22 მილიონი დახარჯა. დაზუსტებით ვერ ვიტყვი, ფული დეპუტატებს ჯიბეში ჩაუტენა თუ არა, მაგრამ ამ მიმართულებით გამოძიება უკვე მიმდინარეობს!**

— ანუ მალე გიგა ბოკერიასაც დააკავებენ? ისე, თქვენი პარტიისთვის ევროპული ღირებულებები პრიორიტეტია, თუმცა დასავლეთზე ცინიზმით საუბრობთ. ესე იგი, საგარეო ორიენტაცია შეიცვალეთ?

— არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, მინდა, დასავლეთს თვალი ავუხილო და ის დავანახო, რაც საქართველოში რეალურად ხდება. დიახ, ევროპაში პოლიტიკურად ანგაჟირებული დეპუტატებიც არიან, რომლებიც ჩიორა თაქთაქიშვილის ნებისმიერ დოკუმენტს ხელს აწერენ. ადამიანს რომ გააშიშვლებ და აჩუ-აჩუს დაუძახებ, რაც თავდაცვის სამინისტროში ბაჩო ახალაიას პერიოდში ხდებოდა, ეს დასავლური ღირებულებაა თუ ევროპაში მამაკაცებზე სექსუალური ძალადობა მიღებულია? თუ ასეა, მაშინ ასეთ ევროპაში არაფერი გვესაქმება. არ მინდა ისეთი ევროპა, სადაც მიხეილ სააკაშვილი უყვართ.

— განა, ეს საკმარისი მიზეზია, რომ ევროპაზე უარი ვთქვათ და ჩრდილოეთისკენ გავიხედოთ?

— სხვათა შორის, სააკაშვილს მხოლოდ რუსეთში კი არა, გერმანიასა და საფრანგეთშიც ლანძღავენ. სამწუხაროდ, ოპოზიციაში ყოფნისას არ გვქონდა საშუალება, საზღვარგარეთ ნაციონალური მოძრაობის შესახებ ინფორმაცია გაგვეტანა. სრული დოყლაპიები ვიყავით, რადგან აბსოლუტურად სხვა საკითხებით ვინტერესდებოდით და ამ მიმართულებით არაფერს ვაკეთებდით, თუმცა ბოლომდე დასაძრახები არ ვართ, რადგან ელემენტალურად, საკმარისი სახსრები არ გვქონდა, რომ საზღვარგარეთ გვევლო. უკაცრავად, მაგრამ ჯუმბერ ლეჟავას მსგავსად, ევროპაში ველოსიპედით ვერ ვივლიდით.

— საზღვარგარეთ ახლა ხშირად დადიხართ თვითმფრინავით, მაგრამ თავად აღიარებთ, რომ დასავლეთის კითხვებს დამაკმაყოფილებლად ჯერ კიდევ ვერ პასუხობთ...

— ბიძინა ივანიშვილის ფულს იმისთვის კი არ ვიყენებთ, რომ ევროპაში ვინმე მოვქრთამოთ. ვცდილობთ, დეტალურად გავაცნოთ საქართველოში არსებული ვითარება. დარწმუნებული ვარ, ამ მიმართულებით სასურველ შედეგს აუცილებლად მივაღწევთ და ჩვენი პარტნიორებიც დარწმუნდებიან, რომ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ.

ილია II: „თუ სინანული არის ადამიანში, ის სხვას არ განიკითხავს“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია მეორის თქმით, „თუ სინანული არის ადამიანში, ის სხვას არ განიკითხავს“.

ამის შესახებ მისმა უწმინდესობამ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

„ადამიანს უნდა გააჩნდეს განცდა თვისთა ცოდვათა, სინანული. დღეს არის ხსენება წმინდისა იოანე ნათლისმცემლისა, რომელიც ქადაგებდა სინანულს. თუ სინანული და განცდა თვისთა ცოდვათა არის ადამიანში, ის არ განიკითხავს სხვას, ის სთხოვს უფალს პატიებას. არ უნდა შეგეშინდეთ იმ გაჭირვებისა, რომელიც ხშირად ჩვენს წინაშე არის. ეს გაჭირვება, ღვთის მადლით, გაივლის, თუ ჩვენ ვიქნებით სიახლოვეში ღმერთთან“, — ბრძანა პატრიარქმა.

„პირველი“

კონრად ადენაუერის ფონდში „სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო თანამშრომლობის“ მეორე ფაზა გაიხსნა

კონრად ადენაუერის ფონდში „სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო თანამშრომლობის“ (SCPC) მეორე ფაზა გაიხსნა. ღონისძიება, რომელიც ასოციაციის „ევროპის დროით“ ინიციატივით მიმდინარეობს, მიზნად ისახავს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პარლამენტების იმ საჯარო მოხელეთა დაახლოებასა და ცოდნის ამაღლებას, რომლებიც მუშაობენ ევროინტეგრაციულ, კერძოდ, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის საკითხებზე.

ორდღიან ღონისძიებაში მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების თანამშრომლები, აზერბაიჯანისა და სომხეთის პარლამენტების 7 საჯარო მოხელე, ექსპერტები, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და მომხმარებელთა ფედერაციის პრეზიდენტები.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პარლამენტების საჯარო მოხელეები მონაწილეობენ.

„სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო თანამშრომლობის“ მეორე ფაზა ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა ვიქტორ დოლიძემ და ევროკავშირის ელჩმა საქართველოში ფილიპ დიმიტროვმა გახსნეს.

„მნიშვნელოვანია, რომ სამი ქვეყნის სტაფერები ერთად განიხილავენ ევროპასთან დაახლოების გზებს. გასულ წელს გამართული ანალოგიური ღონისძიება ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში პარლამენტის როლის თემას მიეძღვნა. დღეს განხილვის საგანია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების გაფორმების პროცესი და ამ მიმართულებით მიღწეული შედეგები“, — განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

მისივე თქმით, ამ საქმეში მნიშვნელოვანია, საჯარო მოხელეების მიერ გაწეული მუშაობა და მათი ჩართულობა დოკუმენტების მომზადების პროცესში.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლის, ფილიპ დიმიტროვის შეფასებით, ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულება ქვეყნისთვის ძალიან მომგებიანია, განსაკუთრებით შორეულ პერსპექტივაში. **„ეს ხელშეკრულება არის საშუალება იმისა, საქართველოსა და ევროპას შორის ეკონომიკური საზღვრები მოიხსნას. ამით საქართველოში ბიზნესმენებისთვის ბევრი შესაძლებლობა გაჩნდება და ევროპელ ბიზნესმენებსაც გაუადვილდებათ აქ ჩამოსვლა და ვაჭრობა. ეს ხალხისთვისაც კარგია, რადგან ეკონომიკა მათი ცხოვრების დონით განისაზღვრება“,** — განაცხადა დიმიტროვმა, რომელმაც „სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო თანამშრომლობის“ ფარგლებში შეხვედრა გახსნა.

„ინტერპრესნიუსი“

გედევან ფოფხაძე გაუპატიურებაში ბრალდებულ მამუკა ხვედელიანს 22 წლის ბიჭის 5 ტყვიით მოკვლაში ადანაშაულებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

დაპირებული სამართალი ურმითაც რომ აღარ მოდის, ხალხის გამაუპატიურებელი პოლიციელებისთვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანამაც დაადასტურა — ბორჯომის პოლიციის ექსუფროსი და ნაციონალების ექსმაჟორიტარი მამუკა ხვედელიანი, რომელსაც ბრალი წამებაში ედებოდა, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, რის გამოც ხალხმა ახალციხის სასამართლოს ქვები დაუშინა... სადამდე მიიყვანს საზოგადოებას მსგავსი განუკითხაობა და პროკურატურის უმოქმედობა? — „ვერსიას“ ბორჯომის „ოცნებელი“ მაჟორიტარი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მეორე პირი, გედევან ფოფხაძე ესაუბრა:

„მამუკა ხვედელიანმა ბორჯომში სიარული თუ დაიწყო, ხალხის დიდი რიგი დადგება მის „გასაპატიოსნებლად“, მე კი ურიგოდ გამიშვებენ!“

— მამუკა ხვედელიანს, პრაქტიკულად, ბავშვობიდან ვიცნობ — ჩემი ძმის თანაკლასელია და თავიდანვე ნერვიული ბავშვი გახლდათ.

— მერე, თქვენ ან თქვენ ძმასაც ხომ არაფერი გაწყენინათ?

— არა. სამი წლით ჩემზე უფროსები იყვნენ, მაგათთან რა შეხება მქონდა, ერთადაც კი არ ვთამაშობდით. მამუკა ხვედელიანი 2003 წელს, როცა ბორჯომის გამგებელი ვიყავი, უშიშროების თანამშრომელი იყო. მაშინ ნორმალური ურთიერთობა გვქონდა და ერთმანეთს არაფერს ვუშავებდით. ის თავის საქმეს აკეთებდა — სხვადასხვა სოფლებიდან ინფორმაცია მოჰქონდა, არც მე ვაძლევდი პოლიციას არაკანონიერ დავალებებს, თუმცა როცა „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, პოლიციამ მეორე დღესვე დაუფიქსირა მხარდაჭერა ნაციონალებს და გამაფრთხილეს, თუ რამე წინააღმდეგობას გავუწევდი ახალ ხელისუფლებას, ჩემი საქმე კარგად არ იქნებოდა. თანამდებობა დავტოვე, ჩემი ძმა, ბესო კი მერად დარჩა და თანაკლასელობიდან გამომდინარე, მას და მამუკას რაღაც პირადი კონტაქტები მაინც ჰქონდათ. 2012 წლის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, ხვედელიანი პოლიციის უფროსობიდან გადადგა და ბორჯომის გამგებელი გახდა, რითიც მისი საარჩევნო გეგმები უკვე ნათელი იყო.

— ამის მერე, ხვედელიანი ნაციონალების მაჟორიტარი კანდიდატი ხდება და კარგად მახსოვს, რას უამბობდით მედიას არჩევნების პერიოდში, თუმცა ასეთი ხერხებით მებრძოლი კონკურენტის წინააღმდეგ ერთი სარჩელიც კი არ დაწერეთ. რატომ?

— ბორჯომში არჩევნები საერთოდ არ ჩატარებულა: ხვედელიანი შეხვედრებზე იმუქრებოდა, ამას გიზამთ, თუ ხმას არ მომცემთო, ჩემი შეხვედრები კი ასეთი იყო — არჩევნები რომ დამთავრდება, ყველას ციხეში ჩავაყუდებთ-მეთქი. სხვა თემა წინასაარჩევნოდ საერთოდ არ არსებობდა, არჩევნებამდე ბოლო 10 დღე კი სულ საავადმყოფოში ვიჯექი, რადგან დილაობით ერთმანეთს ვითვლიდით და წინა ღამით გამქრალ აქტივისტებს საავადმყოფოებში ვეძებდით. მეტიც, ხვედელიანმა მე და ჩემს ძმას არაოფიციალურად შემოგვითვალა, არჩევნების მერე მამათქვენი ამოთხარეთ საფლავიდან და ისიც წაიღეთ, ბორჯომიდან ისე გადასახლდითო. ჩემს სარჩელს რაც შეეხება, კაცი ისედაც ციხეში იჯდა და მისთვის რაღა უნდა დამემტკიცებინა.

— ახლა გამოვიდა და შეაბრუნეთ!

— ახლა ამაზე საფიქრალი ნამდვილად მომეცა — მეგონა, ყველაფერს მართლმსაჯულება გამოასწორებდა... რა უნდა მექნა, იმ კაცზე დამეწყო შურისძიება, ვინც ჩემი კონკურენტი იყო?! ახლა ხომ შეიძლება ჭორებზეც ვისაუბრო — უბანში ისიც კი მითხრეს, იცოდე, ხვედელიანი უბნის ბიჭებს ეუბნება, თუ გედის სახლს „გაიტანთ“, გარანტიას გაძლევთ, არ დაისჯებით, სახლში ბიძინას მოცემული ფულები აქვსო.

— ივანიშვილის ნაჩუქარი ფული მართლა გქონდათ, ან სახლში სიგნალიზაცია არ გიყენიათ?

— ფული არც სახლში მაქვს და არც სხვაგან. ვისაც აინტერესებს, შევიდეს, ჩემი სახლი ნახოს და შეაფასოს, რამე წასაღები მაქვს თუ არა. სიგნალიზაცია კი არა, სახლის კარს ხანდახან ღიასაც ვტოვებ.

— გათავისუფლებულ ხვედელიანს თქვენთვის ახლა არაფერი შემოუთვლია?

— ეგღა მაკლია, ხვედელიანმა რამე შემომითვალოს, აქეთ შევუთვლი! საერთოდ, მიმაჩნია, რომ მისი ბრალეულობის დასამტკიცებლად სხვა ეპიზოდების გამოკვეთაც შეიძლებოდა. მაგალითად, ბორჯომში, სპეცოპერაციის დროს 22 წლის ბიჭი სერგო არუცევი მოკლეს. ამ ბიჭს კახა ლეგაშვილთან, კრიმინალური პოლიციის უფროსსა და ხვედელიანის მეგობართან ჰქონდა კონფლიქტი. მამუკამ ორჯერ დაიჭირა არუცევი, მერე ეს ბიჭი გააფრთხილეს, შენი მოკვლა უნდაო და როცა გაქცევა სცადა, დვირთან, სპეცოპერაციის დროს, 6 ტყვია ესროლეს — აქედან 5 ტყვია ხვედელიანმა! ეს საქმის მასალებიდანაც ჩანს! თუ ეს საქმე თავიდან ბოლომდე გაანალიზდება, ბორჯომის პოლიციის 80%-ია დასაჭერი, არათუ — ხვედელიანი. იმის მიუხედავად, რომ მთელმა რაიონმა იცის, ეს კაცი დამნაშავეა, მაინც გამამართლებელი განაჩენი გამოუტანეს.

— რატომ გვაჩვენებთ გაუპატიურების კადრებს და რატომ აღიზიანებთ ხალხს, თუ პროკურატურას, რომელიც პრემიერის თქმით, სუსტია, დამნაშავეების ციხეში ჩასმა არ შეუძლია?

— არ ვიცი... არჩილ კბილაშვილზე ცუდს, მართლაც, ვერაფერს ვიტყვი. პიროვნულად ძალიან წესიერი ადამიანი და კარგი იურისტია. ვიცით, რომ უამრავი საქმეა პროკურატურაში და, შესაძლოა, სწორედ ეს აბნევს და რაღაც კონკრეტულ საქმეებზე კონცენტრირების საშუალებას არ აძლევს, თუმცა ისიც რეალობაა, რომ პროკურატურის თანამშრომელთა 80% ძველი კადრებითაა დაკომპლექტებული.

— კიდევ ერთი რეალობა, რაზეც „ოცნებაში“ არავინ ლაპარაკობს, ლაშა ნაცვლიშვილის ფაქტორია... არც ახლა გჯერათ მის გარშემო გავრცელებული ხმების?

— ამაზე ბევრს ვერც მე ვიტყვი, რადგან ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, რა როლსა და ფუნქციას ასრულებს ნაცვლიშვილი პროკურატურაში. ეჭვებისა და ჭორების დონეზე ვიცი, რომ იგი უწყების ძალიან გავლენიანი ფიგურაა, თუმცა ეს რაში გამოიხატება, ზუსტად არ ვიცი, ამიტომ ჭორს ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ.

— მესმის ყველა ობიექტური მიზეზი, რაც პროკურატურის გასამართლებლად მოჰყავთ, მაგრამ მისი მუშაობით კმაყოფილი ხართ?

— არა, მუშაობით კმაყოფილი არც ვარ და, ცხადია, ვერც ვიქნები. უკმაყოფილო ვარ თუნდაც ამ ერთ საქმესთან დაკავშირებით — ხვედელიანისთვის ბრალის წაყენება მკვლელობის თუნდაც იმ ეპიზოდზე შეეძლოთ, რომელიც გიამბეთ. არ გამოვრიცხავ, მოსამართლეს ეს კაცი მაინც გაეშვა, მაგრამ ჩვენი მხარე უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო. როცა მოსამართლეების შესახებ კანონს ვიღებდით, ალბათ, უფრო მეტად საქართველოს რეალობა უნდა გაგვეთვალისწინებინა და არა — ვენეციის კომისიის დასკვნები.

— და რა უნდა გექნათ?

— იუსტიციის საბჭოს შემადგენლობა სხვაგვარად უნდა დაკომპლექტებულიყო. გამოდის, ჩვენ ვითომ თამაშის წესებში კეთილსინდისიერები ვართ, იქითა მხარე კი — არა. ჩვენს ამ საქციელს არაგონივრულს ვუწოდებ. სამართლიანობის აღდგენა ძალიან რადიკალურ ნაბიჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ თუ ხვედელიანისნაირი ადამიანები გარეთ იქნებიან, მაშინ ვერ ვხვდები, საერთოდ ვინმე რატომ უნდა დავიჭიროთ?! ეს კაცი ხომ იმ ხალხის რიცხვშია, ვინც სახეზე ნიღაბაფარებულებმა 7 მაისს რუსთაველზე გაიარა შეძახილით — „ბადრის რა?!“ ეს იყო „სადისტების აღლუმი“ და ამ სადისტებს პრეტენზია ჰქონდათ, რომ სამართალდამცავები იყვნენ. დიდი ალბათობით, სწორედ ეს ნიღბიანები აუპატიურებდნენ ადამიანებს და ისინი ამ რეჟიმმა განსხვავებული აზრის ხალხთან საკომუნიკაციოდ შექმნა.

— ახალციხის სასამართლოს ხალხმა ქვები დაუშინა — ხვედელიანს, მასთან ერთად გამოშვებული 4 კაცსა და მსგავს ადამიანებს ხალხი თავისით რომ გაუსწორდება, ამის შესაჩერებლად „ოცნება“ რას აპირებს?

— ჩვენ ამაზე პასუხს ვერ ვაგებთ... გამოსავალი ის იყო, სასამართლო სისტემა შეცვლილიყო, მაგრამ ეს სასამართლო ჩაბარდა პატრონს, გავიდა გაღმა, მარილზე... ამ კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, კარგსა და საიმედოს ვერაფერს გეტყვით. აბა, რა გითხრათ, გულწრფელი ადამიანი ვარ — ხვედელიანისნაირ ხალხს რომ ვხედავ, კარგი, მე ვთქვათ, ჩემს თავს მოვთოკავ... ან კი, მე რატომ უნდა მოვთოკო, როცა ბორჯომმა ამირჩია, ვიცი, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ისიც იყო, რაიონს ხვედელიანის მოსაშორებლად ებრძოლა. ახლა ეს კაცი გარეთ გამოდის და ეს ერთგვარი მესიჯია საზოგადოებისთვის, მე კიდევ ვარსებობო. ხვედელიანის მეტსახელია „სპიკე“ და მთელი რაიონი არჩევნების წინ ყვიროდა — „ბორჯომი „სპიკეს“ გარეშეო!“ ამ კაცს ძალიან ბევრი ბორჯომელი ჰყავს გალახული, ბევრიც — უკანონოდ დაპატიმრებული. ახლა მამუკა ხვედელიანმა ბორჯომში სიარული თუ დაიწყო, ხალხის დიდი რიგი დადგება მის „გასაპატიოსნებლად“, მე კი იმდენ პატივს მცემენ, ურიგოდ გამიშვებენ!

— ბორჯომში აქციები მიმდინარეობს და იქ არაერთი ცნობილი სახეც გამოჩნდა, ანუ ვითარება ჩიხში შედის?

— პირველ რიგში, ეს მთელი ბორჯომის განწყობაა და ვისაც ამის არ სჯერა, რაიონში თავად ჩავიდეს. პირადად მე რაც შემეხება, ამ კუთხით რაღაც რეაგირება მექნება, თუმცა რა, ამაზე ჯერ ვფიქრობ. ვაპირებ შეხვედრებს პროკურატურაში და იმედია, ჩემთვის დროს გამონახავენ.

ვერსიანიუსი

პედაგოგმა მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდა „მხეცის ნიშნის“ — 666-ის გამო დატოვა

ქუთაისში მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდა, პროტესტის ნიშნად, ერთმა პედაგოგმა დატოვა, რომელმაც თავის და გვერდით მდებარე მერხების ნუმერაციაში „მხეცის ნიშანი 666“ ამოიკითხა.

თავდაპირველად, პედაგოგის პროტესტი თავისივე მერხის ნომერმა 6-მა გამოიწვია, მოგვიანებით კი, მან მარჯვნივ და მარცხნივ მდებარე მერხების ნომრები საკუთართან შეაჯერა, გაუგებარი მათემატიკური გათვლა ჩაატარა და დაასკვნა, რომ რაც მიიღო, „მხეცის ნიშანი“, ანუ ციფრი 666 იყო, რის შემდეგაც დარბაზი დატოვა.

საგამოცდო ცენტრის თანამშრომელთა განმარტებებს პედაგოგმა აგრესიით უპასუხა: „მთელი ცხოვრება ეკლესიებში ხოხვაში გავატარე და მორალის კითხვა არ დამიწყოთ ახლა“.

„ნიუსპოსტი“

გიორგი ვაშაძის თქმით, ფინანსთა მინისტრს ეკონომიკასა და ფინანსებში არაფერი გაეგება

ფინანსთა მინისტრი არაპროფესიონალია და მას ეკონომიკასა და ფინანსებში არაფერი გაეგება, — აცხადებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე. მისი თქმით, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია და თუ მთავრობა ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამს, ეკონომიკური კოლაფსი გარდაუვალია და, შესაძლოა, საქართველოში ის განმეორდეს, რაც საბერძნეთში მოხდა.

ვაშაძის განცხადებით, კრიზისის მიზეზი მთავრობის არათანმიმდევრული პოლიტიკა და არაკომპეტენტურობაა.

„პირველი ექვსი თვის განმავლობაში, ბიუჯეტს 270 მილიონი დააკლდა და ეს მაშინ, როცა მთავრობა სოციალურ ხარჯებს ზრდის, კრიზისის მიზეზი პოლიტიკური არასტაბილურობა, პრემიერის პოლიტიკური განცხადებები წასვლა-არწასვლაზე, დაუსრულებელი მოლოდინი, ის შრომის კოდექსია, რომლიც უკვე უმუშევრობის კოდექსია. აქციზზე გადასახადის ზრდა, დანაპირების არშესრულება, გადასახადების კლებაზე უარის თქმა, დიდ სამშენებლო და საინვესტიციო პროექტების გაჩერებამ უკვე გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი. ფინანსთან მინისტრი, რომელსაც არაფერი გაეგება ფინანსებში და ეკონომიკაში აცხადებს, რომ 365 ათასმა კომპანიამ ბიუჯეტში გადასახადი წინასწარ გადაიხადაო. ეს ხომ აბსურდია, ნეტა, გვყავდეს 365 ათასი ისეთი კომპანია, რომ წინასწარ გადასახადის გადახდა შეუძლია. გარდა ამისა, ამ 365 ათას კომპანიაში, სულ მცირე, თითოში ათი ადამიანი ხომ უნდა მუშაობდეს ანუ 3 მილიონ 500 ათასი ადამიანი უნდა მუშაობდეს. სად არის ეს ხალხი, სად მუშაობს და თუ მუშაობს, უმუშევრობა რატომ არის?“ — აცხადებს ვაშაძე.

„პირველი რადიო“

მე-3 გვერდიდან

სხვაგვარად წარმოუდგენელია, როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ როდესაც ამ ადამიანებს ბრალი წაუყენეს, პირდაპირ მოსთხოვეს, თუ რატომ არ შემოიყვანეს „ჯი თი გრუპის“ მიერ მითითებული „ნიუ ჰოლანდის“ ტექნიკა და რატომ მიანიჭეს უპირატესობა ჩეხურ „ზეტორს“, მაგრამ ჩინური ტრაქტორები კიდევ უფრო იაფია და ამაზე რატომ არ აკეთებენ აქცენტს, არ მესმის! როგორც გითხარით, გამოძიებამ სასამართლოს ვადა 5 აგვისტომდე გადაწია, მეორე დღესვე კი, ამ საქმეზე დაკავებული პირები გაუარესებულ პირობებში გადაიყვანა. ომარ თედორაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმეა — კიბეზე ასვლა უჭირს, მძიმედ სუნთქავს, მაღალი არტერიული წნევა აწუხებს და ასეთი ადამიანი, რომელიც შედარებით ნორმალურ პირობებში იყო, ნახევრადსარდაფულ, პატარა, 4-კაციან საკანში გადაიყვანეს, სადაც სუნთქვაც კი ჭირს. როგორ გგონიათ, ადამიანის წამება მხოლოდ სხვადასხვა ფორმით ძალადობაა? არაადამიანური პირობების შექმნაც წამებაა და ყველაფერი ეს იმისთვის კეთდება, რომ თავისუფლების სანაცვლოდ, ამ ადამიანმა ყველაფერზე ხელი მოაწეროს. ჩვენი ჩარევის შედეგად, ეს ხალხი ისევ ნორმალურ პირობებში დააბრუნეს. სხვათა შორის, გამოძიებას მხოლოდ ექსპერტების — ელგუჯა შაფაქიძისა და ომარ ბედიას დასკვნა აქვს, რომელზეც თვითონ ექსპერტებიც აცხადებენ, რომ არ შეიძლება, ამ დასკვნას დავეყრდნოთ, რადგან საველე პირობებში ექსპერიმენტები იყო ჩასატარებელი („ვერსიაში“ ამ თემაზე ვრცელი ჟურნალისტური გამოძიება უკვე გამოვაქვეყნეთ, რის შემდეგაც ომარ ბედია დაგვიკავშირდა და ექსკლუზიური ინტერვიუც გამოვაქვეყნეთ, სადაც ბატონი ომარი პირდაპირ აცხადებდა, რომ გამოძიებამ მისი და შაფაქიძის დასკვნა გააყალბა — ავტ.). რეალურად, გამომძიებლები და პროკურორები დაინტერესებულები უნდა იყვნენ, რათა ამ საქმეზე ჭეშმარიტება დაადგინონ, მაგრამ გამოძიებამ ექსპერტებს განზრახ მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, როდესაც „ზეტორის“ ტრაქტორის არასწორი, გაყალბებული და „ნიუ ჰოლანდის“ გაუმჯობესებული პარამეტრები გადასცეს. შესაბამისად, ყალბი მონაცემების საფუძველზე, დასკვნაც არასწორი დაიწერა. უკვე ჩავატარეთ ექსპერიმენტი ქართველი და საერთაშორისო სპეციალისტების მონაწილეობით, რაც ჩვენს პოზიციას ადასტურებს და უტყუარს ხდის ფაქტს, რომ ჩეხურ „ზეტორთან“ შედარებით, თურქეთში წარმოებული „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორები გაცილებით დაბალხარისხიანია. ოდნავ სამართლიანი სასამართლოს პირობებში, ეს პროცესი დაცვის მხარისა და ბრალდებულების წარმატებით უნდა დასრულდეს.

სამწუხაროდ, არ მეგონა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, ისევ იმ სიტუაციას შევეჯახებოდით, რაც ადრე იყო. თუ ზურაბ ადეიშვილის პროკურატურის პირობებში, უკანონოდ წარმოებული საქმეების ათეულს დავახარისხებთ, კონკრეტულად ეს საქმე, ადეიშვილის პირობებში, პირველ ადგილზე გავიდოდა. ჩვენს საზოგადოებას წინა ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება, სწორედ ამ ტიპის უსამართლობის გამო დაუგროვდა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პროკურატურა ისევ იმ რელსებზე დგება, როგორზეც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს იდგა.

პირდაპირ გეტყვით, მთავარ პროკურატურაში 2-3 ადამიანი შეცვალეს, ისევ ის პროკურორები დარჩნენ, რომლებიც ადრეც მუშაობდნენ, ყველა პროკურორს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ, სამწუხაროდ, მუშაობის სტილი არ შეცვლილა.

— ბატონო ლევან, ისევ კონკრეტული პირების გამოკვეთილ ინტერესს დავუბრუნდეთ, „ვერსიაში“ ვწერდით, რომ „ჯი თი გრუპში“, რომელსაც „ნიუ ჰოლანდის“ მიერ წარმოებულ თურქულ ტრაქტორები შემოჰყავს, თბილისის მერის, გიგი უგულავას ინტერესი იკვეთება, რადგან „ჯი თი გრუპი“ ყვითელი მარშრუტკების ტენდერში მონაწილეობდა და ეს ამ კომპანიის ხელმძღვანელმაც დაგვიდასტურა. იმასაც ვწერდით, რომ ამ საქმეში, შს მინისტრის ყოფილი მოადგილის, გელა ხვედელიძისა და მთავარი პროკურორის მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის ინტერესებიც ჩანს...

— მესმის, რასაც მეკითხებით, მაგრამ პირადად მე, კონკრეტული მტკიცებულებების გარეშე, უგულავაზე, ხვედელიძესა და ნაცვლიშვილზე ვერ ვისაუბრებ, თუმცა კომპანია „ჯი თი გრუპი“, რომელსაც პრეტენზია აქვს, წინა წლებში ბაზრის მონოპოლისტი იყო. გარკვეული საეჭვო კავშირები აშკარად ჩანს, მათ შორის, ხელისუფლებაში მყოფ პირებთანაც, რადგან ასეთი უკანონობის ზეიმი, სხვაგვარად წარმოუდგენელია. ვერ წარმომიდგენია, პროკურატურამ ის, რაც არ არსებობს, როგორ უნდა დაასაბუთოს?! გამოძიებას მხოლოდ აღიარებითი ჩვენების იმედი აქვს და თუ ასეა, ამ პროკურატურას ადეიშვილის პროკურატურისგან ვერ განვასხვავებ! პირდაპირ გეტყვით, მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ მაგალითად, მოსამართლე ესებუა, ყოველთვის არ გვეყოლება სასამართლო პროცესზე. არც ერთი ადამიანის პატიმრობაში ყოფნა არ მიხარია, მაგრამ მაშინ, როდესაც ანალოგიური მუხლებით, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვეს, ზოგიერთი კი გირაოს სანაცვლოდ გაუშვეს, ამ ხალხმა, ხანდაზმულმა პროფესორებმა რა დააშავეს? სამწუხაროდ, გირაო შეუფარდეს საზღვარზე ნარკოტიკების გადმომტანებს, ადამიანებს, რომლებსაც იარაღის არსენალი უპოვეს, მაგრამ ჯანმრთელობაშერყეული პროფესორები ციხის გაუსაძლისი პირობებისთვის გაწირეს. ამ საქმეში ჩარეულია, როგორც ადგილობრივი, ასევე — საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, საელჩოები და ვფიქრობ, სასამართლო მათი მონიტორინგის ქვეშ წარიმართება. იმედი მაქვს, რომ ისეთი მოსამართლე შეგვხვდება, რომელიც ოდნავ სამართლიანი იქნება და ამ ოდნავი სამართლიანობის პირობებშიც კი, გარწმუნებთ, ამ საქმეზე გამამართლებელი განაჩენი დადგება!

გამოძიებას დაკავებულების განადგურება სურს?

„ბრძოლას შედეგი ყოველთვის მოაქვს. გარწმუნებთ, ობიექტური გამოძიებისა და სასამართლოს პირობებში, ახლაც ასე იქნება და ამ პროცესს წარმატებით დავასრულებთ“, — განუცხადა „ვერსიას“ ყველა დაკავებული მაღალჩინოსნის ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა.

— ბატონო სოსო, აშკარაა, რომ გარკვეული ჯგუფი ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, გამოძიებამ ექსპერტების დასკვნა გააყალბა, ვინ არიან ეს ადამიანები და რა არის მათი მიზანი?

— ამ შემთხვევაში, მხოლოდ სამართლებრივ დარღვევებზე ვისაუბრებ, პოლიტიკურ შეფასებებს კი ვერ გავაკეთებ, რადგან ჩემი მიზანია, შევაფასო ის მტკიცებულებები, რომლებიც საქმეში არსებობს. ბრალდების ფორმულირებაში პირდაპირ წერია, რომ საქართველოს მიწის დამუშავებისთვის საკმარისი იყო 110 ცხენის ძალის სიმძლავრის თურქული წარმოების, „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორების შეძენა, რაც უკიდურესად ტენდენციური, დაუსაბუთებელი და დანაშაულებრივი ჩანაწერია. 110 ცხენის ძალის სიმძლავრის უამრავი სახეობის ტრაქტორი არსებობს, მათ შორის, ევროპასა და აზიაში დამზადებულიც, რატომ უნდა შეეძინათ მაინცდამაინც თურქული ტრაქტორები და არა — ჩინური, ინდური ან ბელორუსის წარმოების? ეს აშკარად იმაზე მეტყველებს, რომ ადგილი აქვს გარკვეული ჯგუფის მიერ სწორედ ამ ტიპის ტრაქტორების ლობირებას, რომელიც შემდგომში გამოძიებას თავს მოახვიეს.

საქმეში კიდევ ერთი საეჭვო გარემოებაა: სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი, რომლითაც დაკავებულებს ბრალი გაფლანგვაში ედებათ, ითვალისწინებს გარკვეულ ქმედებას მანკიერი მიზნით. თუ არ გვაქვს ეს მიზანი, არ გვაქვს დანაშაული. ბრალდების მხარეს არ უცდია დაედგინა და დაეზუსტებინა, თუ რა მანკიერ მიზანს ისახავდა „ზეტორის“ ტრაქტორების შეძენა, რომელიც შესანიშნავად მუშაობს და რაც ჩვენმა ექსპერიმენტმაც დაადასტურა.

გარდა ამისა, როდესაც გამოძიებამ სასამართლოს ვადის გაგრძელება მოითხოვა, ეს იმით დაასაბუთა, რომ ამ ტრაქტორების საგამოძიებო ექსპერიმენტია ჩასატარებელი. როგორც გითხარით, ასეთი ექსპერიმენტი უკვე ჩავატარეთ და ეს მასალა საქმეშიც დევს, მაგრამ ბრალდების მხარემ არ გაითვალისწინა და პროცესი გაახანგრძლივა. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ თავდაპირველი დასკვნა, რომელიც ამ ადამიანების დაპატიმრებას დაედო საფუძვლად, ძირშივე არასწორია. გამოძიებამ თვითონვე აღიარა, რომ საველე პირობებში გამოცდის გარეშე, შეუძლებელია ტრაქტორების შედარება და თუ ასეთი შედარება არ არსებობს, მაშინ ამ ხალხს ბრალი რის გამო წაუყენეს? ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ის სტანდარტები, რასაც გამოძიება და სასამართლო იყენებს ამ ადამიანებისთვის პატიმრობის შეფარდების პროცესში, კრიტიკას ვერ უძლებს. ეს არის მხოლოდ რეპრესია ამ ადამიანების მიმართ, რომლებიც დამსახურებული მეცნიერები და პროფესორები არიან.

— მესმის, პოლიტიკური შეფასება არ გსურთ, მაგრამ ამ საქმეში პოლიტიკურ ინტერესს გვერდს ვერ ავუვლით, ასეთი ზეწოლის პირობებში, როგორ გგონიათ, სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრ დავით კირვალიძეს დაიჭერენ?

— არ ვიცი, პროგნოზის გაკეთება არ მინდა, მაგრამ საქმის მასალების მიხედვით, დავით კირვალიძეს საერთოდ არანაირი შეხება არ აქვს ამ საქმესთან. შესაბამისად, ვერანაირ საფუძველს ვერ ვხედავ, რომ მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. ის ფაქტი, რომ დავით კირვალიძე თანამდებობიდან გადადგა, მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ რა წესიერად მუშაობდა მისი გუნდი. სხვადასხვა გამოკითხვამაც აჩვენა და პრემიერ-მინისტრმაც აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი წარმატებული დარგია ქვეყანაში. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ წარმატებული დარგის შემოქმედებს ასეთი ბედი ეწიათ, ეს ხალხი უკანონო პატიმრობაში არიან და იმას ედავებიან, რაც არ ჩაუდენიათ! არადა, ბიძინა ივანიშვილი 10 წუთით მაინც რომ შეხვდეს ამ პროფესორებს და დაელაპარაკოს, მისთვის სრულიად ნათელი გახდება, რასთან გვაქვს საქმე. სამწუხაროდ, გამოძიებას სიმართლის დადგენა კი არა, დაკავებულების განადგურება სურს!

პარლამენტი მუშაობას რიგგარეშე სესიით განაახლებს

პარლამენტის ბიუროს სხდომა, დღეს, 8 ივლისს, 17:00 საათისთვის გაიმართება. იმის მიუხედავად, რომ საგაზაფხულო სესია ივნისის ბოლო პარასკევს, 28 ივნისს ოფიციალურად დაიხურა, პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტს რიგგარეშე სესიის მოწვევის თხოვნით მიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განუცხადა, რიგგარეშე სესიის ფორმატში მუშაობას მეორე-მესამე მოსმენით წარმოდგენილ კანონპროექტებზე დაასრულებენ. რიგგარეშე სესიაზე პარლამენტი, სავარაუდოდ, ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან საკანონმდებლო ინიციატივას — „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტს მიუბრუნდება.

გარდა ამისა, კობახიძის ცნობით, პარლამენტი, ასევე განიხილავს პრეზიდენტის მიერ ორ ვეტოდადებულ და უკან მიბრუნებულ კანონპროექტებს. საუბარია „მაუწყებლის შესახებ“ კანონსა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში პარლამენტის მიერ შეტანილ ცვლილებებზე, რომელთაც მიხეილ სააკაშვილმა ხელი არ მოაწერა და პროექტების საკუთარი ვარიანტი, მოტივირებული შენიშვნებითურთ, კანონმდებლებს უკან დაუბრუნა.

ასევე, მანანა კობახიძის ინფორმაციით, პარლამენტში შესულია „პოლიციის შესახებ“ კანონი, რომელსაც დეპუტატები კომიტეტების ფარგლებში განიხილავენ. მომავალი კვირის რიგგარეშე სესიის დღის წესრიგს კი ბიურო დააზუსტებს.

ამასთან, უმრავლესობის წევრები არ გამორიცხავენ, რომ რიგგარეშე სხდომების ფორმატში შეკრება ივლისის გარდა, აგვისტოშიც მოუხდეთ.

„ინტერპრესნიუსი“

ეგვიპტის პრემიერის პოსტს მოჰამედ ბარადეი დაიკავებს

ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის პოსტს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ყოფილი დირექტორი მოჰამედ ბარადეი დაიკავებს. 71 წლის ბარადეი ეგვიპტის ლიბერალურ და მემარცხენე პარტიათა ალიანსს ხელმძღვანელობს. 2005 წელს იგი გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში. სამხედროების მიერ მმართველ თანამდებობებზე დანიშნული პირები დაკისრებულ მოვალეობებს არჩევნებამდე განახორციელებენ. ახალი არჩევნების თარიღი, ჯერჯერობით, დანიშნული არაა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ეგვიპტის არმიამ ქვეყნის პრეზიდენტი მოჰამედ მურსი გადააყენა და კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა. მოჰამედ მურსი და მოძრაობა „ძმები მუსულმანების“ ლიდერები დაკავებულები არიან. ეგვიპტის საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელმა ადლი მანსურმა, სამხედროების გადაწყვეტილებით, როგორც ეგვიპტის დროებითმა პრეზიდენტმა, ფიცი დადო და მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

მკვლელობა თუ თვითმკვლელობა — რა გახდა 36 წლის მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი

5 ივლისს, თბილისში უბედური შემთხვევა მოხდა — 36 წლის მამუკა მიქაუტაძემ, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. გარდაცვლილის ოჯახის წევრთა განცხადებით, თვითმკვლელობის წინა ღამით, მიქაუტაძე პოლიციამ დააკავა და რამდენიმე საათის განმავლობაში მთავარ სამმართველოში დაკითხვაზე იმყოფებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, თვითმკვლელობამდე ახალგაზრდა კაცმა ოჯახის წევრებს დაურეკა და უთხრა, რომ პოლიციამ მეგობრის საწინააღმდეგო ჩვენება წამებით მიაცემინა.

როგორც გარდაცვლილის მეზობელი აცხადებს, ახალგაზრდა მამაკაცმა ჯერ თბილისის ზღვაში სცადა თავის დახრჩობა, შემდეგ კი ხეზე ჩამოიხრჩო თავი. სავარაუდოდ, გარდაცვლილი გამვლელმა ნახა. გარდაცვლილის ოჯახის წევრები, ასევე ეჭვობენ, რომ მამუკა მიქაუტაძე მოკლეს.

სამართალდამცველები ვითარებაში გარკვევას ცდილობენ.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე კახა კოჟორიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რომ ნახა მამუკა მიქაუტაძის მიერ მიცემული ჩვენება, რომელშიც გარდაცვლილი ამბობს, რომ მასზე ზეწოლა მოხდა და სწორედ ეს გახდა თვითმკვლელობის მიზეზი. კოჟორიძის თქმითვე, გვამს დაზიანებები აღენიშნება.

„ჩემი აზრით, იმ ჩვენებას ადამიანი ზეწოლის გარეშე არ დაწერდა. თავის დაწერილს არ ჰგავდა. 100%-ით ამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ რა შაბექჭდილებაც დამრჩა იმ ჩვენების წაკითხვის შემდეგ, არის ეს“, — ამბობს საია-ს თავმჯდომარე.

სხვათა შორის, საია-ს ინიციატივით, გარდაცვლილს 7 ივლისს ექსპერტიზა ჩაუტარდა. კახა კოჟორიძის თქმით, ექსპერტიზის მიზანი იმის გარკვევა იყო, მიქაუტაძეზე პოლიციის განყოფილებაში ჩვენების მიცემის დროს მოახდინეს თუ არა ფიზიკური ზეწოლა. ექსპერტიზის დასკვნა ცნობილი რამდენიმე დღეში გახდება.

„ჩატარდა მიცვალებულის გვამის გარეგანი დათვალიერება. გარეგანი დათვალიერებით სიკვდილის მიზეზი ვერ დადგინდება. ინახა გარკვეული ცვლილებები სხეულზე გარეგნულად. დასკვნა ამ დღეებში, მაქსიმუმ, სამშაბათისთვის დაიდება და საზოგადოებისთვის ცნობილი იქნება დეტალური ინფორმაცია, რაც ახლდა გვამის გარეგან დათვალიერებას“, — განაცხადა ექსპერტმა ალექსანდრე გაჩაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ვიქტორ დოლიძე მიიჩნევს, რომ მამუკა მიქაუტაძის გარდაცვალების ფაქტი ბოლომდე უნდა იქნას გამოძიებული.

„ჩვენ ამის წინააღმდეგ ვიბრძოდით და ამის წინააღმდეგ ვიბრძოლებთ მომავალშიც. ღმერთმა დაიფაროს, რომ ანალოგიური გრძელდებოდეს, რაც იყო. ცვლილება, მგონი, მოხდა ქვეყანაში, მაგრამ თუკი რამე ცალკეულ გამოვლინებებს ან ელემენტებს ექნება ადგილი, ბუნებრივია, რომ უნდა მივყვეთ ბოლომდე და ფაქტის გამოძიება ბოლომდე მოხდეს“, — ამბობს დოლიძე.

ეკა ბესელიას თქმით კი, მამუკა მიქაუტაძის გარდაცვალების მიზეზების დადგენაზე, შესაძლოა, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა იმუშაოს.

„ექსპერტიზის შედეგების გამოქვეყნებამდე, ძალიან ძნელია, რაიმე შეფასების გაკეთება. ჩვენ დაველოდებით ექსპერტიზის დასკვნას. მზად ვარ, ამ საკითხში უფრო მეტად ვიყო ჩართული და თუ ამის აუცილებლობა იქნება და, შესაბამისად, თუ ოჯახიც თანახმა იქნება, ჩვენ შეგვიძლია, უფრო აქტიურად ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა იმუშაოს ამ ფაქტთან დაკავშირებით“, — განაცხადა ბესელიამ.

„ვერსიანიუსი“

გოგა ხაინდარავა, ირმა ინაშვილი და ლევან გოგიჩაიშვილი კოტე კუბლაშვილის კაბინეტთან საპროტესტო აქციას გამართავენ

„მამუკა ხვედელიანის მსგავსი სუბიექტები ზოოპარკში უნდა იყვნენ გამომწყვდეულები!“

რუსუდან შელია
557-100-768

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა — კინორეჟისორმა გოგა ხაინდრავამ, ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა და ყოფილმა პოლიტპატიმარმა ლევან გოგიჩაიშვილმა ბორჯომის პოლიციის ყოფილი უფროსის მამუკა ხვედელიანისა და მასთან ერთად დაკავებული ოთხი ყოფილი პოლიციელის დასჯის მოთხოვნით, საპროტესტო კამპანია დაიწყეს — პირველი აქცია ბორჯომის ცენტრში გაიმართა, ანალოგიური აქციების გამართვა ახალციხესა და თბილისშიც იგეგმება. შეგახსენებთ: პროკურატურის ინფორმაციით, ბორჯომის პოლიციის ყოფილ უფროსს მამუკა ხვედელიანს, ასევე პოლიციელებს — სერგო სამსონაძეს, ალექსანდრე ბლიაძეს, გიორგი ბლიაძესა და გიორგი ლომიძეს ბრალი დაედოთ ისეთ უმძიმეს დანაშაულებებში, როგორიცაა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, პირის დამცირება და იძულება, ასევე, არაადამიანური, პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და განზრახ უკანონო დაკავება. გოგა ხაინდრავა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ გაჩენილ შეკითხვებს კომპეტენტურმა ორგანოებმა ადეკვატური პასუხი უნდა გასცენ.

— გაუგონარი ფაქტი მოხდა: მოსამართლე ჯეირანაშვილმა შეურაცხყოფა, პრაქტიკულად, მთელ ქართველ საზოგადოებასა და ქართულ სახელმწიფოს მიაყენა, როცა სასამართლო დარბაზიდან ყველაზე შემზარავ დანაშაულში ბრალდებული ხუთი ადამიანი გაათავისუფლა. სასამართლო რეფორმა იმით დამთავრდა, რომ ლეგიტიმაცია კუბლაშვილს მიეცა, რომელმაც იუსტიციის საბჭოს სახით, საკუთარი ბანდა ამ დრომდე შეინარჩუნა. ეს ის წითელი ხაზია, რომლის იქითაც საზოგადოება არ უნდა გადავიდეს. მამუკა ხვედელიანის მსგავსი სუბიექტები ზოოპარკში უნდა იყვნენ გამომწყვდეულები. ცხვრის ტყავში გადაცმული ბანდიტი და ყაჩაღი მოსამართლე ჯეირანაშვილი კი, კოტე კუბლაშვილთან ერთად, ამ საქმეში ყველაზე დიდი დამნაშავეა. არავითარ შემთხვევაში არ შევეგუებით ჯეირანაშვილის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რისთვისაც მივმართავთ პარლამენტს, იუსტიციის სამინისტროს, მთავარ პროკურატურას და ყველა იმ უწყებას, რომელსაც საქართველოში სამართალზე პასუხისმგებლობა ეკისრება. ამ ადამიანებმა სასწრაფოდ უნდა გაგვცენ პასუხი — ვინ არის დღეს დამნაშავე, კაცთმოძულეობასა და ადამიანების წამებაში ბრალდებული ხუთი ყოფილი პოლიციელი, რომელიც მოსამართლე ჯეირანაშვილმა გაამართლა, თუ მეორე მხარეა ცილისმწამებელი. კიდევ ერთ შეკითხვაზე გაგვცენ პასუხი — ადამიანის სკამის ფეხით გაუპატიურება საქართველოში დაშვებული ფორმაა და მსგავს ფაქტებს სახელმწიფოში კიდევ უნდა ველოდოთ?

— როცა შეკითხვაზე პასუხს თუნდაც მთავარი პროკურატურისგან ითხოვთ, რატომ გავიწყდებათ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ, ადამიანების წამებაში ბრალდებულ ლადო ბედუკაძეს არჩილ კბილაშვილმა საპროცესო გარიგება გაუფორმა?

— მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოს ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში დაფიქსირებულა. როცა ადამიანი საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად სახელმწიფოს მიერ შექმნილ სადისტურ სისტემას ამხელს, არა მგონია, მასთან საპროცესო გარიგების გაფორმება შეკითხვებს ბადებდეს. პირიქით, შეკითხვები იმ ადამიანების მისამართით მიჩნდება, რომლებიც ახლა ბედუკაძის დაკავებას ითხოვენ. გაითვალისწინეთ, რომ ლადო ბედუკაძის გაკეთებული საქმე საზოგადოებამ საკუთარ თავზე იგრძნო — მან უამრავ ადამიანს ის უბედურება ააცილა, რაც გლდანის ციხეში წლების განმავლობაში ხდებოდა.

— გლდანის ციხეში ადამიანების წამებაში ლადო ბედუკაძეც იყო მხილებული, იმ პატიმრების უფლებებზე რატომ არავინ იფიქრა, რომლებიც სწორედ ბედუკაძეს ადანაშაულებდნენ გაუპატიურებასა და ღირსების დამამცირებელ მოქმედებაში?

— დიახ, დანაშაულის მონაწილე ლადო ბედუკაძეც იყო და ამას თავადაც არ უარყოფს, მაგრამ მან საკუთარ თავში იმდენი ძალა იპოვა, რომ დანაშაულის მხილება ქვეყნისთვის საკმაოდ მძიმე პერიოდში მოახერხა. ბედუკაძე ციხიდან კადრების გამოტანის დროს რომ დაეჭირათ, წარმომიდგენია, როგორ აწამებდნენ, შესაბამისად, ვფიქრობ, რომ პროკურატურის გადაწყვეტილება, ამ შემთხვევაში, მხოლოდ მისასალმებელია.

— პროკურატურის ამ გადაწყვეტილებით, ბიძინა ივანიშვილი, როგორც ჩანს, აღფრთოვანებული არაა და ამბობს, წამებაში ბრალდებული ადამიანები სახელმწიფომ არ უნდა წაახალისოსო...

— ბუნებრივია, მსგავსი ტიპის დამნაშავეები სახელმწიფომ არ უნდა წაახალისოს, მაგრამ ბედუკაძის მიმართ ჩემი აზრი მაქვს, პრემიერს კი — თავისი. ისიც მესმის, რომ ბიძინა ივანიშვილი, როგორც საჯარო ფიგურა, ბევრად ზომიერ და ფრთხილ განცხადებებს აკეთებს, მე კი საზოგადოების მწყემსმთავარი არ ვარ, რის გამოც ჩემ აზრს საკმაოდ დაუფარავად და პირდაპირ ვაფიქსირებ. საერთოდ, ბედუკაძე ცალკე თემაა... საზოგადოებამ პასუხი მხოლოდ მთავრობას არ უნდა მოსთხოვოს. თუ რიგითი მოქალაქეები ჯეირანაშვილისნაირ არამზადებს შევეგუებით, მხოლოდ ხელისუფლებას რატომ ვთხოვთ პასუხს? მსგავსი ფაქტების პრევენციისთვის, პირველ რიგში, საზოგადოება უნდა გამოფხიზლდეს. ამიტომაც, გაჩერებას არ ვაპირებთ. რამდენიმე დღეში სახალხო დამცველს შევხვდებით და აქციებს ახალციხეში გავაგრძელებთ, სადაც მოსამართლე ჯეირანაშვილი „მოღვაწეობს“. პარალელურად, საპროტესტო აქციები კუბლაშვილის კაბინეტთანაც გაიმართება. ვიმეორებ: სანამ შედეგს არ მივაღწევთ, არ გავჩერდებით, ხოლო რა მასშტაბებს მიიღებს ეს აქციები, მალე ყველა დაინახავს.

ვერსიანიუსი

ჭორვილაში მამაკაცმა სამი ადამიანი, მათ შორის, სასულიერო პირი დანით დაჭრა

საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში ერთ-ერთმა პირმა, ცივი იარაღის გამოყენებით, სამი მოქალაქე, მათ შორის სასულიერო პირი დაჭრა. შსს-ს ინფორმაციით, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ჭიათურის რაიონული სამმართველოსა და საჩხერის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული, 1990 წელს დაბადებული, ვალერი ჩ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე, სოფელ ჭალაში დააკავეს. დაკავებული დანაშაულს აღიარებს.

დაშავებულებს სხეულის სხვადასხვა მიდამოში მრავლობითი ნაკვეთი ჭრილობები აღენიშნებათ. სამივე მათგანი საჩხერის რაიონულ საავადმყოფოშია მოთავსებული.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 19-109-ე მუხლი).

„ინტერპრესნიუსი“

მოშიმშილე ირაკლი წერეთელი მარგველაშვილს, ბურჯანაძესა და ნათელაშვილს ვაზელინის ჩუქებით ემუქრება?!



„მოსახლეობის ნაწილი „განაცდა“, ნაწილი „გაქოცდა“, დანარჩენი საზოგადოება კი გამოშტერდა!“

რუსუდან შელია
557-100-768

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი აშშ-ის, დიდი შვიდეულის, ნატო-ს, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მეთაურებს, მთავრობებსა და პარლამენტარებს შემდეგ მოთხოვნებს უყენებს: რუსეთი, საქართველოსთან მიმართებაში, დამნაშავე-აგრესორ მხარედ ოფიციალურად გამოაცხადონ. საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის გამო, რუსეთს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დააკისრონ და, ამასთან, საქართველოს დამოუკიდებლობის სოლიდარობის ნიშნად, სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადონ. ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ირაკლი წერეთელი 18 ივნისიდან შიმშილობს, თუმცა როგორც „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნავს, ჯერჯერობით არავინ გამოხმაურებია:

— 21 დღეა, ვშიმშილობ — ძირითადად წყალს ვსვამ და, პირის ღრუში უსიამოვნო შეგრძნებების თავიდან ასაცილებლად, ნატურალურ წვენებს ვივლებ.

— ითქვა, რომ თითქოს საღამოს ექვსიდან ათ საათამდე შიმშილობთ. რამდენიმესაათიანი შიმშილი პროტესტის ახალი ფორმაა?

— არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, რადგან მთელი დღის განმავლობაში საკვებს არ ვიღებ. სამედიცინო შემოწმებას ყოველდღე გავდივარ, ამიტომ დაინტერესებულ პირებს ექიმებიც დაუდასტურებენ, რომ ფორმალურად არ ვშიმშილობ. მოგეხსენებათ, ჩემ მოთხოვნებს სამი კონკრეტული ადრესატი ჰყავს — თანამედროვე დემოკრატიული მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, რომლებისგანაც სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებასა და რუსეთისთვის აგრესორის სტატუსის მინიჭებას ვითხოვ. საქართველოს ხელისუფლებისგანაც მოვითხოვ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტს, დევნილებისთვის 300-ლარიანი ყოველთვიური კომპენსაციის დანიშვნასა და თითოეული მათგანის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას. ქართველ ერს კი მივმართავ, დეოკუპაციის მოთხოვნით, ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩამოყალიბდეს.

— ბატონო ირაკლი, საკმაოდ გლობალური მოთხოვნები გაქვთ. ვინმე თუ გამოგეხმაურათ?

— ჟურნალისტების გარდა, — არავინ. საქართველოს მოსახლეობის ნაწილი „განაცდა“, ნაწილიც „გაქოცდა“, დანარჩენი საზოგადოება კი გამოშტერდა. მინდა, ქვეყანა ამ ძილ-ბურანის მდგომარეობიდან გამოვიყვანო, რათა ერის სიმაღლემდე ასვლა მოვახერხოთ. სხვათა შორის, ჩემი მეგობრებიც მოითხოვენ, რომ ხელისუფლებამ 25-წლიანი პოლიტიკური დევნისა და შევიწროების გამო, პოლიტიკური დევნილის სტატუსი სამშობლოდან გაუსვლელად მომანიჭოს. სახელმწიფო დაფინანსება არ მინდა, მაგრამ ის ზარალი, რაც პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდში მივიღე, ვფიქრობ, უნდა ამინაზღაურდეს — მოგეხსენებათ, მამაპაპისეული შტაბ-ბინა დამიწვეს, მამაჩემისგან დატოვებული მემკვიდრეობა კი უნამუსოდ წამართვეს. სამწუხაროდ, როგორც ხელისუფლებისგან, ასევე, საზოგადოებისა და უცხოელებისგან სოლიდარობისა და თანადგომის დეფიციტს განვიცდი. ამიტომაც გადავწყვიტე, ფიზიკურ შეტევებზე გადავიდე და შენობების პიკეტირება განვახორციელო.

— თქვენი გადაწყვეტილება ხომ კანონდარღვევაა. გინდათ, რომ დაგაპატიმრონ?

— დიახ, მინდა, რომ დამაპატიმრონ, რადგან შიმშილობით ყურადღების მიქცევა ვერ მოვახერხე. დიდი ხანია, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერს, მთავრობასა და პარლამენტს წერილებს ვუგზავნი, თუმცა არავინ მპასუხობს. სამაგიეროდ, საზოგადოება ყურადღებით უსმენს საქართველოს მოღალატე ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ პუტინის მოსაზრებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ იზიარებს. პრემიერმა შევარდნაძისა და სააკაშვილის მსგავსად, რუსეთს ხელი დააფარა, როცა გვითხრა, რომ დეოკუპაციის პროცესის დასაწყებად რუსეთთან მოლაპარაკება კი არაა მთავარი, არამედ აფსუებსა და ოსებთან უნდა დავალაგოთ ურთიერთობაო. ეს იმას ნიშნავს, რომ თურმე, რუსები კი არ გვებრძვიან, აფხაზებსა და ოსებთან გვაქვს ქართველებს კონფლიქტი.

აშშ-ის ხელისუფლებისგან მოვითხოვ, საქართველოსთან ორმხრივი სტრატეგიული კავშირის შესახებ ხელშეკრულება დაიდოს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული ჯარი განლაგდეს, რათა საქართველოს სივრცეში შემოსული ყველა თვითმფრინავი ჩამოვაგდოთ.

— ანუ ახლა ფართომასშტაბიანი ომის მომხრეც ხართ?

— ომის მომხრე არ ვარ, მაგრამ რამდენი რაკეტაც ჩამოვარდება საქართველოში, იმდენივე უნდა დაუბრუნდეს უკან რუსეთს! რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრე მხოლოდ მაშინ ვიქნები, როცა ჩრდილოელი მეზობელი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და დეოკუპაციის პროცესიც დაიწყება, თუმცა სანამ რუსეთი არ დაიშლება და ბარაკ ობამაც აშშ-ის პრეზიდენტის პოსტიდან არ წავა, მართლაც, ომისთვის უნდა ვემზადოთ.

საერთოდ, მიმაჩნია, რომ საქართველომ უნდა დაიბრუნოს ის ტერიტორია, რომელიც დავითისა და თამარის დროს ჰქონდა, რასაც აშშ-ის დახმარების გარეშე ვერ მივაღწევთ. მეტიც, საქართველოს პროამერიკულ-ქრისტიანულ-სამხედრო-ეროვნული 15-წლიანი დიქტატურა სჭირდება, რათა საზოგადოებამ თავისუფალ სახელმწიფოში ცხოვრება ისწავლოს. პრორუსიზმი კი სახელმწიფო დანაშაულად უნდა გამოცხადდეს. სხვათა შორის, ყველა საპრეზიდენტო კანდიდატი — ნინო ბურჯანაძე, გიორგი მარგველაშვილი, შალვა ნათელაშვილი რუსეთის აგენტები არიან, რომლებსაც ხელისუფლების დანარჩენ წარმომადგენლებთან ერთად, მომავალი წლის 26 მაისს, საქართველოს დროშის ნაცვლად, საჩუქრად დიდ ვაზელინს გადავცემ.

ვერსიანიუსი

თურქეთში, საპროტესტო აქციაზე 12 ჟურნალისტი დაშავდა

სტამბულში, საპროტესტო აქციაზე, რომელიც სამართალდამცველებმა აღკვეთეს, 12 ჟურნალისტი დაშავდა. ამასთან, პოლიციამ 60-მდე ადამიანი დააკავა, მათ შორის, ერთი უცხოელი, რომლის წარმომავლობაც არ კონკრეტდება და ორი ჟურნალისტი.

ანტისახელისუფლებო საპროტესტო აქცია სტამბულის ცენტრში, 6 ივლისს დაიწყო. ტაქსიმის მოედანზე რამდენიმე ათასი ადამიანი შეიკრიბა. გეზი პარკისკენ დემონსტრანტების მსვლელობა პოლიციამ ცრემლსადენის გაზის გამოყენებით აღკვეთა.

„ინტერპრესნიუსი“

რიონში 55 წლის მამაკაცი დაიხრჩო

ქუთაისში, მდინარე რიონში 55 წლის მამაკაცი, ვანო კახიძე დაიხრჩო.

გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცი ნასვამ მდგომარეობაში მეგობართან ერთად მდინარეში ბანაობდა, რა დროსაც რიონმა გაიტაცა.

გვამის პოვნა ვერ ხერხდება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

როგორ შოულობდნენ გზების დაგებით ნაციონალები მილიარდებს

დავით დევიძე
593-219-042

„მიხეილ სააკაშვილი გზებისა თუ ავტობანის აშენებას ბევრს გვაყვედრის, მაგრამ სინამდვილეში, მის პასუხისგებაში მისაცემად მხოლოდ ეს მშენებლობებიც საკმარისია“, — მიიჩნევს არასამთავრობო ორგანიზაცია „გზა, მძღოლი, სამართლის“ პრეზიდენტი რობერტ იანტბელიძე, რომელიც სააკაშვილის მიერ დაგებული გზების საკითხის გამოძიებას მოითხოვს:

— პასუხისგების საკითხი მხოლოდ იმისთვის უნდა დადგეს, რომ ამ მიშისტებმა და მთლიანად ნაციონალურმა მოძრაობამ ვითომ საარაკო გზებითა თუ აღმაშენებლის გამზირის შეკეთებით თბილისს ავნეს — მილიონები შეჭამეს და „უმადურ“ ქართველებს გვაყვედრიან, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე ვზრუნავდითო. თბილისსა და რაიონებში ერთი და იგივე სქემა მოქმედებდა: ხელისუფლებას გზების დასაგებად მსოფლიო ბანკი თუ ამერიკელები ფულს ურიცხავდნენ, საიდანაც ნახევარზე მეტი უკან მიდიოდა. აქ დარჩენილი თანხის მნიშვნელოვანი ნაწილიც „ტყდებოდა“ და, საბოლოო ჯამში, მხოლოდ იმის მესამედია გაკეთებული, რაც უნდა გაკეთებულიყო.

> **ბევრჯერ ვცადე გამერკვია, რამდენად გამჭვირვალე იყო გზების მშენებლობასთან დაკავშირებული ანგარიშები და ყოველთვის „მეგობრულად“ მირჩიეს, ამ საქმეზე აჟიოტაჟის ატეხვა კარგს არაფერს მოგიტანსო. პრაქტიკულად, ჩაკეტილი სივრცე შექმნეს — არასამთავრობო ორგანიზაციები მთლიანად სააკაშვილის მომხრეებით დააკომპლექტეს, რომ გრანტები სხვაგან არ წასულიყო და საკუთარი ინტერესებისთვის გამოეყენებინათ. გავიხსენოთ, ყოფილი ვეტერინარი მესხიშვილი რომ იცავდა მძღოლების უფლებებს... ამორტიზებული ყვითელი ავტობუსები შემოიყვანეს და მალევე გააქრეს, რადგან შენახვა ძვირი უჯდებოდათ.**

ტრამვაის ხაზების აღება ცალკე დანაშაულია. აქედანაც დიდი ფული მოიხსნა — ლიანდაგის აღება და იქ ბეტონისშუა ზოლის გაკეთება ძვირადღირებული პროექტია. ყველაფერი ეს სწორედ ფულის „მოტეხვის“ მიზნით კეთდებოდა.

— იზიარებთ აზრს, რომ ავტობანები და გზები უხარისხოდაა დაგებული?

— ავტობანებზე, სადაც ასფალტი უნდა გადაეგოთ, ისევ ბეტონის საფარი დატოვეს. ეს დაუშვებელია, რადგან ხელს უწყობს მანქანის მოცურებას და ავტოავარიის რისკს ზრდის. რაც უნდა გაეკეთებინათ, იმის მესამედი გააკეთეს და ეს მესამედიც არ ვარგა. მსოფლიო ბანკი კარნახობდათ, ამ მონაკვეთზე რა როგორ უნდა გაკეთებულიყო. ჩვენი სპეციალისტების აზრი კი არ აინტერესებდათ — რაც მეტი თანხა დაიხარჯებოდა, მეტი „მოტყდებოდა“ და ყველაფერი „სამზარეულოს“ შიგნით უნდა დარჩენილიყო.

— ნაციონალებმა მილიარდობით ვალი დაგვიტოვეს. ხომ არ იცით, აქედან „სააკაშვილის გზების“ შენებაზე რამდენი დაიხარჯა?

— ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა და, ალბათ, მხოლოდ სააკაშვილმა და იმ ხალხმა იცის, ვინც „შენებაში“ მონაწილეობდა. ცნობილია, რომ გმირთა მოედანი 60 მილიონი დაჯდა, თუმცა ამ პროექტს კარგი სპეციალისტი კიაზო ნახუცრიშვილი არ გააკარეს, რადგან იცოდნენ, რომ ფულს ვერ „მოტეხდნენ“.

არადა, გაცილებით სწორად გათვლილი და, რაც მთავარია, იაფი პროექტები არსებობს. საერთოდ, ერთი ფართო გზის გაყვანას ორის გაყვანა სჯობს — ჯერ ერთი, უფრო იაფი დაჯდება და მეორეც, ეკოლოგიის კუთხით მხოლოდ მინიმალური დანაკარგები აქვს. ეს ჩვენი სპეციალისტების პროექტებია, რომლებსაც არავინ ითვალისწინებს...

ნიკა ჯანიხოთელი

„გამატიტვლეს ყველას თვალწინ... თმით მათრიეს... მუცელში მცემდნენ...“

ოთხშაბათს, 10 ივლისს, მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ სამი ქართველი ჟურნალისტი ნაზი შამანაურის სახელობის ოქროს მედლით დაჯიდლოვდება. ნაზი შამანაურის სახელობის ჯილდო მედიაკავშირმა „ობიექტივმა“ ერთი წლის წინ დააწესა... ნაზი შამანაურის ისტორია მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური და დღემდე ბურუსით მოცულია — მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტების შემდეგ საქართველოში რამდენიმე მთავრობა შეიცვალა და დუშეთში იმ ქუჩას, სადაც გიჟად შერაცხული ჟურნალისტი ცხოვრობდა, ნაზი შამანაურის სახელიც უწოდეს, მაინც არ არსებობს პასუხი კითხვაზე — რატომ გამოკეტეს ახალგაზრდა ქალი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში?.. ფსიქიატრიულში ნაზიმ დღიურები დაწერა, თუმცა ფსიქიატრიული საავადმყოფოს იმჟამინდელი მთავარი ექიმი აბელ მამარდაშვილი აცხადებდა, ეს დღიურები ნაზის არ დაუწერიაო... ნაზი შამანაურის საქმეზე გამოძიება არ ჩატარებულა. მეტიც, იმ დღეს, როცა ნაზის ასაფლავებდნენ, დუშეთის რაიონის რაიკომის მდივანმა კერესელიძემ, თურმე რადიო ჩართო და ტაშ-ფანდური გამართა. სხვათა შორის, ჟურნალისტი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სწორედ კერესელიძის მხილებისთვის გამოკეტეს... საინტერესო დეტალი: ნაზი შამანაური კომუნისტურ წყობას არ ებრძოდა და, როგორც მისი თანამედროვენი ამბობენ, ჟურნალისტს მიაჩნდა, რომ ნათელ კომუნისტურ იდეალებს ცალკეული ჩინოვნიკები ამახინჯებდნენ.

ნაზი შამანაურის მკვლელობის საიდუმლო

ამონარიდი ნაზი შამანაურის დღიურიდან:

„...1982 წლის 14 აგვისტოს, ჩარგალში, ვაჟაობა ზე ვიყავით მე და დედა. გადავწყვიტე, სიტყვით გამოვსულიყავი და ვთხოვე ნებართვა რაიონის ხელმძღვანელს, რომელმაც სიტყვის უფლება არ მომცა და მისი მითითებით, გაოგნებული საზოგადოების თვალწინ, დედა-შვილი მილიციის მანქანით წამოგვიყვანეს. ორი დღე დაგვტოვეს მილიციის საპატიმროში...

16 აგვისტოს, ორშაბათს, წამოგვიყვანეს თბილისში და დედა-შვილი მოგვათავსეს ფსიქიატრიული საავადმყოფოს ქალთა პირველ განყოფილებაში, სადაც უფრო მეტად, აღგზნებული ავადმყოფები არიან. მე და დედას შიშისგან არ გვეძინა.

მე-13 დღეს დაგვაშორეს ერთმანეთს, დედა გადაიყვანეს მე-9 განყოფილებაში და მე პირველ განყოფილებაში დამტოვეს. ამ დღიდან დაიწყო ჩემი ტანჯვა-წამება, გამატიტვლეს ყველას თვალწინ, თმით მათრიეს, 13 დღის ნაშიმშილევს შემიკრეს ზეწრებით ხელ-ფეხი, მუცელში მცემდნენ, ცხვირზე ხელს მაჭერდნენ, რომ პირი გამეღო... შიგ სახეში მცემდნენ, ხითხითებდნენ, შენ აქედან ცოცხალი ვერ გახვალ, შენთვის ეს სურამის ციხედ იქცევა, ჟურნალისტი გამოვიდა სიმართლის მაძიებელი...“

„ნაზიმ თავი თვითონ დაიღუპა!“

...ნაზი შამანაურის ნამოსახლარი 17 წლის წინ, 1996 წლის დეკემბერში მოვინახულე. ნაზის დედა, ქალბატონი სარა ინაშვილი რამდენიმე თვის გარდაცვლილი დამხვდა. მასპინძლობა ჟურნალისტის ბიცოლამ, ქალბატონმა ეთერმა და მისმა ვაჟებმა — ვახტანგ და ტარიელ ინაშვილებმა გამიწიეს.

„— სიმართლისათვის წამებით მოკლეს, საწყალი გოგო გიჟად მონათლეს, — შემომტირა ქალბატონმა ეთერმა, — *საავადმყოფოდან ნაზის ცხედარს არ გვატანდნენ. ხუთი დღე დადიოდა ჩემი ბიჭი, რომ მიცვალებული დუშეთში ჩამოესვენებინა, მაგრამ მორგიდან მორგში აგ ზავნიდნენ, მკვდრისაც ეშინოდათ! ბოლოს, სასწრაფო დახმარების მანქანაში ვიპოვეთ, ზემოდან სამი-ოთხი მიცვალებული ესვენა და, როგორც გავიგეთ, თბილისის გარეუბანში, უპატრონოთა სასაფლაოზე უპირებდნენ დამარხვას...“*

სკოლა რომ დაუმთავრებია, დედას ნაზისთვის პიანინო უყიდია. საჩუქარს უზომოდ გაუხარებია... ქუჩაში სიარული არ ჰყვარებია. დღე და ღამე წიგნებში ყოფილა ჩაფლული, ფრანგულიც თავისით უსწავლია და მუშაობა დუშეთის სკოლა-ინტერნატში დაუწყია, მაგრამ იქ ბევრი უსამართლობა დაუნახავს და უთქვამს, ამის მოთმენა არ შემიძლია, ჟურნალისტიკაზე ჩავაბარებ და სიმართლის თქმას მაშინ ხომ ვეღარ დამიშლიანო...

ეთერ ინაშვილი, ნაზის ბიცოლა: *„ბოლო დროს ნაზი ეჭვიანი გახდა, არავის ენდობოდა. ეგონა, რომ ყველა მიგ ზავნილი იყო და მისი სიკვდილი უნდოდა. ხშირად უმი ზე ზოდაც ჩხუბობდა. რამდენჯერმე მითხრა, ბიცოლა, ჩემი ბრალი არ არის, ნერვები აღარ მაქვსო. ნაზიმ თავი თვითონ დაიღუპა, მისი მტერი მისი სიმართლე იყო! ვთხოვდი, გაჩერებულიყო, მაგრამ ჩემს ნათქვამს ახლოს არ იკარებდა... ნაზი ბოლოს 1983 წლის 7 იანვარს, შობა დღეს, საავადმყოფოში ვნახე. სასიკვდილო არაფერი შემიმჩნევია, თუმცა უ ზომოდ გამხდარი და საშინლად ნაცემი იყო. გამომშვიდობებისას მითხრა, ბიცოლა, მალე წამიყვანე აქედან, თორემ მომკლავენო... დარწმუნებული ვარ, ნაზი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ცემით მოკლეს და, კვალის დამალვის მიზნით, გვამი მე-9 საავადმყოფოში გადაიტანეს. სხვათა შორის, მიცვალებულს მარცხენა ხელი და ფეხი მოტეხილი ჰქონდა, თავი — სისხლიანი და შუაზე გადახეთქილი. ნაზის დედას, სარას შვილის ცხედარიც არ აჩვენეს და ფსიქიატრიული საავადმყოფოდან დასაფლავების მეორმოცე დღეს გამოუშვეს. სარას სიცოცხლის ბოლო წუთამდე ეგონა, რომ ნაზი საქმე ზე იყო წასული და მალე დაბრუნდებოდა, სახლს ალაგებდა, ნაზის საყვარელ ხაჭაპურსა და ქადას აცხობდა, გოგო ნამგზავრი იქნება და ეშიებაო...“*

ხმა ფსიქიატრიულიდან

ნაზი შამანაური დისიდენტი არ ყოფილა, მას კომუნიზმის სწამდა და იმ ჩინოსნების წინააღმდეგ ილაშქრებდა, რომლებიც ლენინიზმის იდეას ამახინჯებდნენ.

ტარიელ ინაშვილი, ნაზის ბიძაშვილი: *„ნაზი კომუნისტური წყობის წინააღმდეგი არ იყო. პირიქით, ყოველთვის ამბობდა, რომ ლენინური სამხილით უნდა გვეცხოვრა. ის იმ პარტიულ ფუნქციონერებს ვერ იტანდა, ვინც ხალხის შრომით მდიდრდებოდნენ. სხვათა შორის, ნაზი მორწმუნე და ეკლესიური იყო — დღე არ გავიდოდა, სანთელი არ დაენთო და არ ელოცა...“*

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკეტილი ჟურნალისტი დახმარებას საზოგადოებას სთხოვდა. ირაკლი აბაშიძეს 60-გვერდიანი წერილი გაუგზავნა, სადაც წერდა:

„...ნახეთ, როგორ შემიგინეს ადამიანური ღირსება და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, კომუნისტის უმწიკვლო სახელიც... დუშეთის რაიონის მწვავე პრობლემებზე მე, როგორც ჟურნალისტმა, საკითხი აღვძარი 1973 წლიდან საქ.კპ ცენტრალურ კომიტეტში. ამხანაგმა ვიქტორია სირაძემ მადლობა გადამიხადა ჩემი ჟურნალისტური საქმიანობისთვის და მითხრა, ამ საკითხებზე უახლოეს მომავალში ცენტრალური კომიტეტი იმსჯელებსო, მაგრამ ამის შემდეგ მწვავე დევნა დამიწყეს არათუ მე, არამედ ჩემს ოჯახს... რედაქციებში ამიკრძალეს თანამშრომლობა. 1978 წლის 28 ივნისს, ფლოტის დღეს, რადიო-რედაქციამ (ამხ. პ. შამათავა) პროგრამათა ფურცლიდან ამოიღო სევასტოპოლის გმირი დამცველის ქეთევან ხომერიკისადმი მიძღვნილი ნარკვევი. რედაქციაში მითხრეს, ვინ გყავს ასეთი ძლიერი მტერი, რომლის ძალითაც ასე გ ზღუდავს პეტრე შამათავაო. ჩემი მტერი ეს ჩემი სიმართლე იყო!.. სწორედ ამ შეულამა ზებელი სიმართლის, ხალხის გამოქომაგებისა და მაღალი იდეებისთვის მოგვათავსეს ხალხის მტრებმა სულიერად დაავადებულთა თავშესაფარში!.. რატომ ეშინიათ სიმართლის მხილების? კონსტიტუციით ხომ ნებადართულია საჯაროდ სიტყვის თქმის უფლება? თუკი ეს სიტყვა, რა თქმა უნდა, ხალხის ინტერესებისთვისაა ნაკარნახევი. მაშ, რაშია საქმე?! ნუთუ, სამშობლო ცოცხლად დაგვმარხავს თავის ერთგულ შვილებს და უკვალოდ გაქრება ჩვენი ოჯახის მაღალი, შეურყვნელი, წმინდა პატრიოტული შეგნება ხალხისა და ერის წინაშე? თუკი ბოროტ ძალებს შეუძლიათ, გაერთიანდნენ თავიანთი მზაკვრული ინტერესების განსახორციელებლად, ქვეყნის საძარცვავად და ასაოხრებლად, მაშ, რატომ არ გვძალუძს, მივაყუდოთ ზურგი მამულის სადიდებლად?“

ამონარიდი ნაზი შამანაურის დღიურიდან:

„20. 10. 82. მთელი კბილები ჩამიმტვრიეს. სახეზე არ შემეხედება, სულ ჩამოვხმი. როგორც არასდროს, ისე მინდა სიკვდილი.

ვალიდა აბუსერიძე: *„მე შენ გიჩვენებ, მოგხვდა თუ არა ცხვირ-პირში, გიტირეთ ყოფა, დედა-შვილი გველებივით რომ დაძრწოდით თბილისში, ეყარენით და ამოლპით, კაციშვილი ვერ გაიგებს თქვენს გ ზებს, აქ ამოლპებით...“* 17 წლის წინ, როცა ნაზი შამანაურის ტრაგიკულ ისტორიას პირველად გავეცანი, ვალიდა აბუსერიძესაც შევხვდი, რომელიც ფსიქიატრიული საავადმყოფოს ქალთა პირველი განყოფილების დიასახლისად მუშაობდა და რომელსაც ნაზი შამანაური განსაკუთრებულ სისასტიკეში ადანაშაულებს, თუმცა ქალბატონმა ვალიდამ ყველაფერი უარყო, ნაზისთან კარგი ურთიერთობა მქონდა, თუ რამე უნდოდა, მარტო მე მეუბნებოდა და გამიკვირდა, დღიურებში ჩემზე ცუდი რატომ დაწერაო...

ამონარიდი ნაზი შამანაურის დღიურიდან:

„31.12.82 წ.

...ვალიდა აბუსერიძის ჯოჯოხეთური ყვირილი, ღრიალი, წიხლები. ექიმებმაც იციან მისი დესპოტური ხასიათი, მაგრამ ითმენენ... აბა, დააკვირდით, გესტაპოს ტყვეებივით აცვიათ აქ მყოფ ავადმყოფებს... 7 დეკემბერს, შემოვლა ზე ავლიპ ზურაბაშვილმა პროფესორებს განუცხადა ჩვენი, დედა-შვილის გათავისუფლება, მაგრამ, როგორც ზინაიდა არტემოვნამ განგვიცხადა, ეს ისე თქვა აკადემიკოსმა. ასეთია ზევიდან ბრძანება. თქვენ სოციალურად საშიშ პიროვნებად ხართ მიჩნეულნი და თქვენ არავინ გაგათავისუფლებთ, თქვენისთანები აქ წლობით არიანო.

01.01.83 წ. ახალი წელი გათენდა საგიჟეთში. ყველა დაღონებულია. ყვირილი, ჩხუბი. ნუნუ გოგინაშვილი მეუბნება, საპატიმროში ვართ, არა, ნაზი? რა მეთქმის...

05. 01. 83 წ. კვლევითი ინსტიტუტი კი არა, ტიპური საწამებელი კონცლაგერია, სადაც ავადმყოფ ადამიანზე, როგორც საცოდავ კურდღელ ზე, ცდებს ატარებენ. ჯერ ხომ სანამ სისხლს გამოსწოვენ, თითოეულს წაქცევამდე, ვენიდან რამდენჯერმე უღებენ სისხლს. მერე, ამ სისხლს მამასისხლად ყიდიან. ამიტომაა თითოეული ავადმყოფი ჩონჩხადქცეული მოარული არსება. ყიდიან არა მარტო სისხლს, ყიდიან ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, პერანგებს, ნიფხავს, წამალს თუ ზეწარს... ავადმყოფები კი, გესტაპოს ტყვეებივით, ფეხშიშველა, დახეულ პერანგებში დაბორიალობენ...“

ნაზი შამანაურმა დღიურში ბოლო ჩანაწერი 1983 წლის 11 იანვარს გააკეთა, საიდანაც ჩანს, რომ სასიკვდილო არაფერი სჭირდა:

„კატო ექიმი მოვიდა ჩემთან: — როგორ ხარ ნაზი?

— აბა, როგორ ვიქნები ქალბატონო? ამნისტიაც გვეხება და არ გვიშვებენ.

მზია ექიმი: — ნაზი, გვემდური ჩვენ?.. ჩვენ არაფერ შუაში ვართ!

მინდოდა მეთქვა: — ყველა შუაში ხართ, ადამიანის ბედი როცა წყდება...“

1983 წლის 12 იანვარს ნაზი შამანაური თბილისის მეცხრე საავადმყოფოში უგრძნობ მდგომარეობაში მიიყვანეს და რამდენიმე დღეში, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა...

ნაზი შამანაურის სახლი დუშეთში

მხატვარი ვლადიმერ კანდელაკი, აშშ-ში 23-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა

ნათია ვასაძე
555-98-61-65

4 ივლისს, „თბილისი მარიოტში“, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთის“ ინიციატივით, მხატვარ ვლადიმერ კანდელაკის საიუბილეო საღამო და პერსონალური გამოფენა გაიმართა. ექსპოზიციაზე მხატვრის სხვადასხვა კოლექციიდან 20-ზე მეტი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. საღამოს ორგანიზატორებმა ვლადიმერ კანდელაკი „ოქროს ფრთის“ საერთაშორისო დიპლომითაც დააჯილდოვეს. საღამოს „ოქროს ფრთის“ სხვა ლაურეატები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები ესწრებოდნენ.



ვლადიმერ კანდელაკი 1943 წელს თბილისში დაიბადა. 1958-68 წლებში ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სკოლაში, შემდეგ კი, თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. მისი პედაგოგები იყვნენ გამოჩენილი ქართველი მხატვრები: სერგო ქობულაძე, აპოლონ ქუთათელაძე, გიორგი ჯაში, ვასილ შუხაევი და გოგი თოთიბაძე.

ვლადიმერ კანდელაკის პირველი პერსონალური გამოფენა 1971 წელს მოეწყო... 1970-80-ან წლებში მხატვრის შემოქმედებას იტალიაში, ბელგიაში, იაპონიაში, პოლონეთსა და თურქეთში გაეცნენ. 1990 წელს კანდელაკს პერსონალური გამოფენებით აშშ-ში იწვევენ და... ქართველი მხატვარი, გარკვეული მიზეზების გამო, ოკეანის გაღმა რჩება, სადაც წარმატება და აღიარება მალევე მოიპოვა.

ვლადიმერ კანდელაკის შემოქმედება პლასტიკისა და დინამიკის, რეალობისა და ირეალურობის ერთგვარი სინთეზია და, ორიგინალური ხელწერის წყალობით, პუბლიკის გაოცებას ყოველთვის ახერხებს. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ კანდელაკის შემოქმედებით ნონკონფორმისტული ხელოვნების ცნობილი კოლექციონერი ორტონ დოჯი მოიხიბლა — დოჯის კოლექციაში, რომელსაც „ნონკონფორმისტული ხელოვნება ყოფილი საბჭოთა კავშირიდან“ ჰქვია, ვლადიმერ კანდელაკის 50 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარია დაცული. გარდა ამისა, მისი ნამუშევრები გამოფენილია ნიუ იორკის, ვაშინგტონის, ფილადელფიის და ატლანტის პრესტიჟულ მუზეუმებში.

საიუბილეო საღამოზე მხატვარს პრემია „ოქროს ფრთა“ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა, ჟურნალისტმა თამარ ფხაკაძემ გადასცა.

საღამოს წამყვანი „ოქროს ფრთის“ ჟიურის თავმჯდომარე, ჟურნალისტი ნუგზარ რუხაძე გახლდათ, რომელმაც მხატვრის დამსახურებასა და მიღწევებზე ისაუბრა:

„ვლადიმერ კანდელაკი ის მხატვარია, რომელიც ამ ჯილდოს გადაცემას არათუ იმსახურებს, არამედ თავად „ოქროს ფრთისთვისაა“ დიდი პატივი და ვფიქრობ, რომ ეს აქამდეც უნდა მომხდარიყო. დარწმუნებული ვარ, ვლადიმერი კიდევ ბევრ სიამოვნებას მოუტანს ხელოვნებისა და მისი შემოქმედების მოყვარულებს. მოხარული ვარ, რომ აშშ-ში 23-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ასეთი შესანიშნავი მხატვარი ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდა“.

მხატვარს იუბილე კოლეგებმა და მეგობრებმაც მიულოცეს. საღამო, რომელსაც მუსიკალურად ანსამბლი „ლაშარელა“ აფორმებდა, ვლადიმერ კანდელაკის სამადლობელი სიტყვით დასრულდა:

„ოქროს ფრთა“, რა თქმა უნდა, ძალიან პრესტიჟული და მნიშვნელოვანი ჯილდოა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციას. ვაპირებ ახალი ნამუშევრების შექმნას — პატრიარქმა მთხოვა, მისი მშობლები დავხატო. ეს კი, რა თქმა უნდა, ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა“.

„იზვესტია. რუ“-ს ცნობით, ვითიბი ბანკი თბილისის „დინამოს“ სპონსორი გახდება

რუსეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი ვითიბი თბილისის „დინამოს“ სპონსორი გახდება, — ამის შესახებ რუსული გამოცემა „იზვესტია.რუ“ წერს. როგორც ვითიბი ბანკის მმართველი პრეზიდენტის თანაშემწემ და მოსკოვის „დინამოს“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, ვასილი ტიტოვმა განაცხადა, მათ აქვთ წინადადებები რამდენიმე სპორტული კლუბის სპონსორობის თაობაზე.

„უახლოესი პროექტი კი, რომელზეც ვმუშაობთ, თბილისის „დინამოს“ მხარდაჭერა იქნება. ჩვენ კლუბებს შორის კარგი ურთიერთობაა და გარკვეული ისტორიული ტრადიციებიც არსებობს. საქართველოში საფეხბურთო გუნდის სპონსორობა სულ სხვა თანხასთან არის დაკავშირებული, ვიდრე — რუსეთში. ფეხბურთი ისეთი სფეროა, სადაც სპონსორობა ბრენდის ცნობადობის გაზრდის კუთხით, შესაძლოა, საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდეს“, — აცხადებს ტიტოვი.

ამ თემაზე ქართულ კლუბში კომენტარს ჯერ არ აკეთებენ. როგორც „დინამოს“ პრესსამსახურში აცხადებენ, ამ საკითხზე ინფორმაცია უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

„ინტერპრესნიუსი“

2-ათასლარიანი „მუდმივი ქალიშვილობა“

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

ჰიმენოპლასტიკა საქალწულე აპკის, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ქალიშვილობის აღდგენაა. თურმე, ნუ იტყვით და, ქალიშვილობის მხოლოდ დროებითი კი არა, მუდმივი აღდგენაც შეიძლება. ქალიშვილობის აღდგენის დროებითი მეთოდი, როგორც ესთეტიკური რეკონსტრუქციისა და პლასტიკური ქირურგიის კლინიკა „კარაპს მედლაინის“ პლასტიკური ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე კალანტაროვი ამბობს, უმეტესად გათხოვებამდე, ანუ ქმართან სექსუალური კონტაქტის წინ გამოიყენება, რადგან გაკერილი აპკი მხოლოდ 2-3 დღე „სძლებს“, ამიტომაც ამ მეთოდს სპეციალისტები „ქალიშვილობის იმიტაციასაც“ ეძახიან. რაც შეეხება „მუდმივ ქალიშვილობას“, ამ მანიპულაციის შემდეგ, დიაცი „ქალიშვილი“ მანამ იქნება, სანამ მამაკაცთან სექსუალურ კავშირს არ დაამყარებს...

რითი განსხვავდება მუდმივი ჰიმენოპლასტიკა დროებითისგან

— ბატონო ალექსანდრე, რამდენ ხანს გრძელდება „მუდმივი ქალიშვილობის“ აღდგენის პოსტოპერაციის პერიოდი?

— ეს ჩვეულებრივი პლასტიკური ოპერაციაა, რომელსაც მომზადება სჭირდება. პოსტოპერაციის შემდეგ კი, ე.წ. სარეაბილიტაციო პერიოდი, საშუალოდ, ორი თვეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ხსნის განმავლობაში ქალს სექსი არ უნდა ჰქონდეს.

— ქალების უმეტესობას საშვილოსნოს, საკვერცხეების ანთება ან სხვა ქალური პრობლემა აწუხებს. ყველაფერი ეს „მუდმივი ქალიშვილობის“ აღდგენას ხელს უშლის?

— რასაკვირველია, უშლის, რადგან მუდმივი ჰიმენოპლასტიკის დროს, ფიზიოლოგიური ქალიშვილობის აღდგენა ხდება.

— დროებითთან შედარებით, მუდმივი ჰიმენოპლასტიკის უპირატესობა რა არის?

— არაფერი. უბრალოდ, ამ დროს ქალი ფსიქოლოგიურად მშვიდდება, რადგან იცის, რომ ისევ ქალიშვილია.

— ქალიშვილობადაკარგული ქართველი დიაცები უპირატესობას „დროებით ქალიშვილობას“ ანიჭებენ თუ მუდმივს?

— დროებითს. სხვათა შორის, პაციენტს ვურჩევ ხოლმე, რომ დროებითი ჰიმენოპლასტიკა გაიკეთოს, რადგან „დროებითი ქალიშვილობა“ არ შეზღუდავს. მუდმივი კი, უმჯობესია, ოჯახის შექმნის წინ გაიკეთოს.

— ჰიმენოპლასტიკის სტატისტიკა თუ არსებობს, ან ასაკი შეზღუდულია?

— სტატისტიკა არ არსებობს და არც ასაკია შეზღუდული.

— ოპერაცია რა ჯდება?

— „დროებითი ქალიშვილობის“ აღდგენა, 600-დან 1000-ლარამდე ჯდება. „მუდმივი ქალიშვილობა“ კი 2000 ლარამდე ღირს. საერთოდ, ფასი საშვილოსნოს მდგომარეობაზეა დამოკიდებული...

— მუდმივი ჰიმენოპლასტიკის დროს, როგორც ვიცი, ქალი ნამშობიარები არ უნდა იყოს...

— „მუდმივი ქალიშვილობის“ აღდგენისას ქალი ნამშობიარები კი არა, ნააბორტალიც არ უნდა იყოს, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა ნამშობიარები ქალისთვის მუდმივი ჰიმენოპლასტიკა გაგვიკეთებია და ოჯახიც შეუქმნია. მერე, ორსულობის დროს, გინეკოლოგთან კონსულტაციაზე მეუღლესთან ერთად მისულა და ექიმს უკითხავს, მერამდენე ორსულობააო, ანუ ნებისმიერი გინეკოლოგი ატყობს, რომ ქალს მუდმივი ჰიმენოპლასტიკა აქვს გაკეთებული. მოკლედ, ქალბატონებს, რომლებსაც აბორტი ან ჰიმენოპლასტიკა აქვს გაკეთებული, ვურჩევ, მეუღლეებს სიმართლე უთხრან, რადგან არსებობს საშიშროება, რომ მათ საიდუმლოს ფარდა აეხადოს.

— ბატონო ალექსანდრე, გქონიათ შემთხვევა, რომ ერთი და იგივე პაციენტი ჰიმენოპლასტიკის გასაკეთებლად რამდენჯერმე მოსულა?

— ასეთი შემთხვევებიც არის...

— ქალები ოპერაციის გასაკეთებლად მარტო მოდიან?

— ახალგაზრდები მშობლებთან ერთად მოდიან, ზრდასრულები — მარტო.

— საქართველოში ჰიმენოპლასტიკა უფრო მოდურია თუ ცხვირის ოპერაცია?

— პირველ ადგილზე ცხვირის ოპერაციაა, მეორეზე — მკერდის. ასევე, პოპულარულია ლიპოსაქცია...

გელა ქოქიაშვილი

ქვათა მატიანე

ჯილდო, რომელსაც იმედი ჰქვია

დასავლეთ ჯავახეთი

ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ კვლავ ჯავახეთში ვიმყოფებით. 2003 წლის 11 ნოემბერია... თბილისში არეულობა აპოგეას აღწევს — „ვარდების რევოლუციის“ გაცხოველებული სამზადისია. დანა პირს არ მიხსნის, რადგან არ მახსენდება რევოლუცია, რომელსაც სიკეთე მოეტანოს. რამდენიმე დღის წინათ სახელმწიფო ტელევიზიაში „ნაცები“ და მათი ცელერები — ტყავის ქურთუკიანი „კმარელები“ შემოგვიცვივდნენ, მაგრამ ეს შემოტევა მოვიგერიეთ. მოვახერხე და ჩემი ჯგუფი კვლავ ჯავახეთისკენ დავძარი.

... ხერთვისიდან, მტკვარგაღმა, სოფელ ტილოშში უნდა დავბინავდეთ, რათა იქიდან ბუზმარეთისა და ნიალის ზეგანზე ავიდეთ. ჯერ კიდევ დილაა. ტოლოშელები გვეუბნებიან, რომ მათი გამგებელი ხერთვისის სკოლაში იქნება, სადაც მასწავლებლობს კიდეც. გამგებლის ძებნაში, ხერთვისის სკოლის დერეფანში, მოულოდნელად ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი გვაჩერებს და გვეუბნება, რომ გვიცნობს — მეც და ჩემი მოსწავლეებიც თქვენი ფილმების აქტიური მაყურებლები ვართო. გაკვირვებას რომ მატყობს, მასწავლებელი მეოთხეკლასელთა ოთახის კარს მიღებს. ხდება ის, რაც არასდროს დამავიწყდება. სხვას რომ ეთქვა, ნამდვილად ვერ დავუჯერებდი: შეკითხვაზე — ბავშვებო, ამ ადამიანებიდან ვინ გეცნობათო, ლამის მთელმა კლასმა ერთხმად ჩემი გვარი და სახელი წარმოთქვა. ეს იყო ყველაზე დიდი ჯილდო, რაც კი შეიძლება ინატროს ადამიანმა.

სკოლიდან გამოსულს გული ორად მაქვს გაყოფილი. ერთი სიხარულითაა სავსე, მეორე — მწუხარებით. ვიცი, რომ სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხიდან, რომელზეც ხერთვისელებს ხელი მიუწვდებათ, ჩვენს ფილმებს ნაცები მალე გააქრობენ და მეც დამითხოვენ.

მკითხველი დამემოწმება, მოგზაურობის ამსახველ ნარკვევებში პოლიტიკაზე არასდროს მისაუბრია, მაგრამ ხერთვისელმა ყმაწვილებმა დუმილის უფლება არ მომცეს.

სკოლიდან გამოსული ვდგავარ მტკვრის ნაპირზე და ხერთვისის ციხეს გავცქერი. **1578 წელს ციხის გასაღები ოსმალოს ჩააბარეს ამატაკიშვილებმა. მერე ოსმალოს ირანელები ჩაენაცვლნენ, 1624 წელს გიორგი სააკაძემ გამოიხსნა, მაგრამ მერე იძულებით ისევ ოსმალოს დაუთმო. 1829 წელს პასკევიჩმა რუსის ხიშტით მოიპოვა და მას შემდეგ კვლავ ჩვენია. ხერთვისი ქართველების თვითმყოფადობისა და იმედის სიმბოლოა, მაგრამ დღეს იმ ფესვის გამოხმობას ცდილობენ, რითაც ხერთვისის სიყვარული იკვებება — ახლა ხომ 2003 წლის ნოემბერია...**

— საიდან დავიწყოთ გადაღება? — ღრმა ფიქრიდან გამოვყავარ სოზარ გულბანს, რომელიც მარტო მოათრევს შტატივსა და კამერას.

— სოფელ ტოლოშიდან.

ტოლოშში ერთი, შედარებით ახალი, გარედან შელესილი ეკლესიაა და, როგორც ხუროთმოძღვრული ძეგლი, განსაკუთრებულ ყურადღებას ვერ იქცევს.

ტოლოშიდან თანდათან მაღლა ვიწევთ.

„ნიჯგორის პირისპირ, მტკუარს მიერთვის შულავრის ხევი, გამომდინარე ერუშეთის მთისა“, — გვეუბნება ვახუშტი ბატონიშვილი.

ჩვენ სოფელ ნიჯგორში უკვე ნამყოფი ვართ, ხოლო შულავერის მდინარეს ახლა შოლა ჰქვია. სწორედ ამ ხევით და სოფელ ტოლოშის გავლით უნდა ავიდეთ ერუშეთის მთებში. აქ გზა ორად იყოფა. ერთი მარჯვნივ, ჩრდილოეთისკენ მიდის ქუცნაში, დადეშში, ერკოტში და აწყვიტაში. მეორე — მარცხნივ და სულ ზევით, სამხრეთისკენ სადაც ბუზმარეთისა და ნიალას ველებია. პირველი მიმართულებით ეკლესიების მხრივ ბევრი არაფერია სანახავი: დადეშის VIII-IX საუკუნეების ეკლესიიდან უმნიშვნელო ნანგრევებიღაა შემორჩენილი, **ქუნცის** ამავე ეპოქის ორნავიანი ტაძარი კი XIX საუკუნეში ისე გადაუკეთებიათ, რომ ყოველგვარი ხიბლი დაუკარგავს. სოფლის განაპირას ადრეშუასაუკუნეების ჯვრიანი ქვა დევს...

აქ ყველაზე საინტერესო, ალბათ, აწყვიტას (აძგვიტას) დარნებია. ამ დარნების თავზე დიდ-დიდი ლოდები ყრია და მიწის ქვეშ ჩასასვლელ კარს ვერც კი შეამჩნევთ. დარანს აქვს 1 მეტრის სიმაღლისა და 70 სმ-ის სისქის ქვის კარი (გელსუნდაში ამაზე ოდნავ დიდია). დარანში შესული აქეთ-იქით მრავალ გასასვლელს ნახავთ, მაგრამ ახლა უმეტესობა ჩამონგრეულია. გასასვლელებში „უცხო კაცთათვის“ ყოფილა ორმო-ხაფანგები. ასე რომ, მტერს რომ შიგ შეეღწია, გზას მაინც ვერ გაიკვლევდა. **როგორც ძველი აწყვიტელები ამბობენ, მათ დარნებს ერთმანეთთან დამაკავშირებელი საიდუმლო გვირაბებიც ჰქონდა, ხოლო თითოეულ დარანში, სავარაუდოდ, ერთი გვარი ცხოვრობდა. შიშიანობის დროს, როცა აქაურები ზევით ამოდიოდნენ და მიწას ამუშავებდნენ, ერთ შემაღლებულ ადგილზე მზვერავს დააყენებდნენ. საკმარისი იყო მტერი გამოჩენილიყო, რომ მის ნიშანზე ხალხი დარნებს უბრუნდებოდა.**



ალანძიის ტაძრის ხედი და სამხრეთ კარის არქივოლტიანი თაღი

მოგზაურობას სამხრეთის მიმართულებით ვაგრძელებთ. პირველ ტაძარს მას შემდეგ შეხვდებით, რაც ჩანჩქერის გვერდის ავლით კილომეტრნახევარს გაივლით. იგი გზიდან ხელმარცხნივ, მცირე ქვაბულში დგას. ამ ალაგს **ალანძია** ჰქვია. ალანძიის ტაძარი VII-VIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ ნიმუშადაც კი შეიძლება დავსახოთ. გვერდებჩამონათალი, რამდენადმე უხეშად დამუშავებული, ნაირ-ნაირი ზომისა და ფერის ხორკლიანი ქვების წყობა დიდი სიზუსტით გამოირჩევა. ყოველივე ეს კრიალოსანის მსგავს დეკორს ქმნის. ამ ხიბლს აგვირგვინებს სამხრეთ პორტალის ნალისებრი მოყვანილობისა და არქივოლტით შემკული თაღედი. ტაძრის ინტერიერი მკრთალად ნათდება და შიდა სივრცე, იდილიურთან ერთად, მონუმენტურობის სურათს ქმნის. საკურთხეველთან ახლოს, ჩრდილოეთ კედელში, გაჭრილი კარით ტაძარი ერთ დროს მცირე ეკვდერს უერთდებოდა, მაგრამ ამჟამად ეს უკანასკნელი დანგრეულია. ამ ეკვდერს გარდა, ეკლესიას ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან სხვა მინაშენებიც უნდა ჰქონოდა, რასაც ზეძირკვლის ფრაგმენტი ადასტურებს. ტაძრის სიახლოვეს, სამხრეთ-დასავლეთით შემორჩენილია მიჯნის მსგავსი ქვის ოთხწახნაგა ბოძი, რომელსაც გაურკვეველი ნიშნები აქვს.



გუნდის ეკლესია

ალანძიიდან გზას დროებით დასავლეთით მივყავართ და დაახლოებით 3-4 კილომეტრში **შალოშეთის** ტაძართან ვჩერდებით. ეს ტოპონიმი სალოშნი ანუ სალოკი ადგილის სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს. შალოშეთის ეკლესია IX-X საუკუნეების ძეგლი უნდა იყოს და იგი, გარკვეულწილად, ალანძიის შთაბეჭდილებას ტოვებს. განსხვავება ისაა, რომ მისი პერანგი რამდენადმე დაუდევრადაა „შეკერილი“. გარდა ამისა, შალოშეთს შემორჩენილი აქვს სამხრეთისა და დასავლეთის მინაშენებიც. ამ უკანასკნელის ჩრდილოეთ კედელში, ქვათა წყობის დაბალ რეგისტრში, მშენებლებს თუ რესტავრატორებს თავდაყირა ჩაუდვიათ ასომთავრულწარწერიანი კვადრი: **„მე ამბროსიმ აღვაშენე წმინდა ესე ეკუდერი დასამარხად და სამკვიდრებლად ჩუენთა მიცვალებულთა“.**

ქუნცის სახეცვლილი ეკლესია

... ის-ის არის მუშაობა დავასრულეთ, რომ ბუზმარეთის ველზე მცირე ფარა და მწყემსი გამოჩნდა. შემოდგომის წვიმებს ნიადაგი ისე დაულბია, რომ მანქანას სიარული უჭირს. ამიტომ მწყემსს ვესალმებით თუ არა, მაშინათვე ვეკითხებით:

— გუნდის ეკლესიამდე მანქანა მიაღწევს?

მწყემსი ჯერ ჩვენს „ნივას“ ათვალიერებს, შემდეგ მძღოლს და მრავალმნიშვნელოვნად გვეუბნება:

— გააჩნია...

გამოწვევას ვიღებთ და მანქანას ვქოქავთ. წინ, გუნდის ეკლესიისაკენ!

გუნდი შალოშეთიდან ჩრდილო-დასავლეთით ხუთ კილომეტრშია, მაგრამ ნაწვიმარზე მანქანას ისე უჭირს სიარული, რომ გზას საათნახევარს ვანდომებთ. ეკლესია დგას დამშრალი ტბის სიახლოვეს, მთის წვერზე. ეს არის მოზრდილი, ოდნავ უხეში ფორმის ტაძარი, რომლის კედლები ფერადი ქვებითაა აყვანილი. წყობა რეგულარულია, დაახლოებით ისეთი, როგორც შალოშეთში. ერთადერთი, სამხრეთის კარი ორივე მხრიდან არქიტრავულია და გარედან ბალავარზე ტოლმკლავა ჯვარი აქვს ამოკვეთილი. ტაძარს კამარის დიდი ნაწილი შენარჩუნებული აქვს. ჩაქცეულია მხოლოდ შვერილი აფსიდის კონქი.

ნიალისაკენ მიმავალ გზას ვაგრძელებთ და მერე ფეხით გზიდან სამხრეთით მდებარე **შუატყის** ეკლესიამდე მივდივართ.

როგორც ირკვევა, ამ ადგილზე ადრე ტყის კორომი იყო და შუატყე ამიტომაც დაერქვა. ნასოფლარიდან თითქმის აღარაფერი დარჩენილა. XVI საუკუნეში დაცლილი სოფელი 1849 წელს თითქოს აღუდგენია 7 კომლ მოსახლეს, მაგრამ დიდხანს ვერც მათ გაუძლიათ და ახლა ნაყორალები საქონლის სადგომად გადაუკეთებიათ მწყემსებს. სწორედ აქ არის შემორჩენილი X საუკუნის მინურულის ეკლესია, რომელსაც ჩრდილოეთის მინაშენიც აქვს. ტაძრის პერანგი რუხი, მომწვანო, ვარდისფერი და ღვინისფერი თლილი ქვით ყოფილა „შეკერილი“, მაგრამ ახლა ქვათა უმეტესობა ჩამოცვენილი და დაკარგულია. უკეთაა გადარჩენილი შიდა კედლები. ჩრდილოეთის მინაშენის თლილი ქვის კამარა ხელუხლებლადაა, მთავარი დარბაზის კამარა კი ჩამოქცეულია. აღმოსავლეთ სარკმლის თავსართს საინტერესო ბარელიეფი ამკობს.

ტოლოშში ვბრუნდებით. დილანდელ წუხილს იმედი მოერია, იმედის ციხე-ტაძრის დანგრევა კი შეუძლებელია, მით უმეტეს ისეთისა, რომლის შენებაში ბავშვები გვეხმარებიან.

ავტორის ფოტოები

შალოშეთის ეკლესია და მისი ერთ-ერთი სარკმლის თავსართი



1. მეგღანუაშვილის სახელი ლავრენტი არდაზიანის ცნობილ რომანში
2. ძალიან ღრმა და ვიწრო ხეობა
3. ოთხკუთხედი, რომლის მოპირდაპირე გვერდები პარალელურია
4. ნიუ-იორკის ერთ-ერთი უბანი
5. კენიის დედაქალაქი
6. მუსიკალური გამის V ნოტი
7. პატარა სამგზავრო ჩანთა წვრილმანებისათვის
8. უსასყიდლოდ მეზობლის დამხმარე მუშები
9. ბანას ტაძრის ამშენებელი მეფე
10. „ისტორიის მამა“
11. მხარე იმერეთში
12. აიშვარია ...
13. თხელი ტალახი
14. თვალის ექიმი
15. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
16. დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული მონასტერი
17. მდინარე რომში
18. ისტორიული რეგიონი ისრაელში
19. სიმებიანი საკრავი
20. მუხის ნაყოფი
21. ალმოდოვარის ფილმი „ესაუბრე ...“
22. ამაზონში მობინადრე დელფინი
23. კავკასიის მთიელთა სოფელი
24. კომპანია „ნისანის“ მიერ გამოშვებული გოლფ-კლასის ავტომობილი
25. მატყლის ცხიმი
26. ქალაქი შვეიცარიაში
27. ქალაქი, სადაც იესომ ბავშვობა გაატარა
28. „ბითლზის“ ლიდერი
29. ქალაქი ინგლისში
30. ბეწვიან ნადირზე მონადირე ჩრდილოეთ ამერიკაში
31. სასიგნალო ტივტივა წყალზე
32. იგივეა, რაც სასულე
33. დასვენება პარასკევ საღამოდან ორშაბათ დილამდე
34. ბობმარლის მშობლიური ქვეყანა
35. ღმერთთა დედა ვედურ მითოლოგიაში
36. დავით აღმაშენებლის ყივჩაყი მეუღლე
37. ოჯახი-დან წასული მამის გადასახადი
38. კუნელის სახეობა
39. ქიმიური ელემენტი
40. შემოსეული დამპყრობელი ჯარი
41. ნეკნებს შორის ამონაჭერი ხორცი
42. ენერგიის ერთეული
43. დროის დიდი მონაკვეთი
44. წინაღობის ერთეული
45. ლათინური ანბანის X ასო
46. ძველი ბერძენი
47. ვაჟაფშაველას „... წიფელი“
48. იგივეა, რაც სვირინგი
49. ორის მომდევნო რიცხვი
50. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი
51. (ძვ.) ბრტყელი მახვილი
52. ინის მეწყვილე ჩინურ ფილოსოფიაში
53. მზის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
54. მუდმივა მათემატიკაში
55. ტრამვაის „წინაპარი“
56. ჭიქის მსგავსი დანაყოფებიანი ჭურჭელი
57. რაიონული ცენტრი შიდა ქართლში
58. რქებდახრილი ხარი
59. ზრდილობიანი მიმართვა პოლონელი ქალისადმი
60. ანტიკური კავალერია
61. საჭმლის მომნელებელი ორგანო
62. დიდ ქვა
63. მტაცებელი ცხოველი
64. ტროას მეფის პრიამეს ასული
65. „ტრაგედიის მამა“
66. ჰიდროტექნიკური ნაგებობა
67. მახრჩობელა გველი
68. ლითონის თხელი ფურცელი
69. უნაგირის ნაწილი
70. სპილენძრგის უცხოპლანეტელი
71. სურამის ციხეში ჩატანებული ყმაწვილი
72. ცეცხლის მნათი ნაწილი
73. დახრილი კოშკით განთქმული ქალაქი
74. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
75. ერთეულთა საერთაშორისო სისტემა
76. მექსიკელი კინოვარსკვლავი ოსვალდო ...
77. მაღალი ხე დატოტვილი ვარჯით
78. გაზაფხულის II თვე
79. მხარე ავსტრიაში
80. მსახიობის მიერ განსახიერებული სახე

ადვილი

8			7		5			
		9		4				
2		4			1		8	
1		8			9	4		
9			5	1	8			7
		3	4			8		9
	9		3			6		1
				5		3		
			1		4			2

სტანდარტი

4	2	3	9		1			
		9					3	2
				5			1	
				1			8	
			2		4			
	5			3				
	4			7				
7	6					1		
			1		8	9	4	7

რთული

7								
			3		8		9	
				7		5	3	
	9	8		6		1	5	
5		4				8		3
	7	3		5		9	2	
	8	7		9				
	5		6		7			
								1

ექსპერტი

			4		9	5	3	1
					6			
3		4	2					
		5					6	
9	7						1	3
	4					2		
					3	6		8
			5					
2	9	6	8		4			

ჰოროსკოპი
8 ივლისი

ვერძი — დღეს სჯობს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაცია მოაგროვეთ. აიმაღლეთ პროფესიული დონე. საქმისადმი ასეთი მიდგომა საშუალებას მოგცემთ, საკუთარი შესაძლებლობები აწონ-დაწონოთ და თავი აარიდოთ შეცდომებს.

კურო — შეეცადეთ, დღეს მაქსიმალურად გამოიყენოთ თქვენი საქმიანი შესაძლებლობები, სხვაგვარად ვერ მოახერხებთ თქვენი ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარიგებების დადებას. არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს ჰერიოდში მოგეცეთ ახალ კომპანიონებთან მოლაპარაკებების შანსი. ნუ გაუშვებთ ამ შანსს ხელიდან.

ტყუპები — იმოქმედეთ მაქსიმალურად გაბედულად და თქვენს წინ ახალი შესაძლებლობები და გზები გაიხსნება. შეეცადეთ, სრულად გამოიყენოთ თქვენი პოტენციალი და წარმატებაც არ დააყოვნებს.

კირჩხიბი — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს განსაკუთრებით ფრთხილი და ყურადღებიანი იყოთ თქვენს საქმიანობაში. არ არის სასურველი, რაიმე დოკუმენტებზე, საქმიან კონტრაქტებზე ხელის მოწერა, სამსახურის შეცვლა და კოლეგებთან კამათი. იყავით უფრო ეკონომიური და ფულს ნუ გაფლანგავთ, არ აიღოთ ვალი და ნურც აზარტულ თამაშებში ჩაერთვებით.

ლომი — დღეს იმდენად ბევრი რამის გაკეთებას შეძლებთ, რომ თავადაც გაკვირვებული დარჩებით. ნებისმიერ სამუშაოს თამამად შეუდექით და ეჯავი ნუ შეგეპარებათ თქვენი მოქმედებების სისწორეში. დღეს ყველა სირთულეს ადვილად დაძლევთ.

ქალწული — მოთმინებით აღიჭურვეთ და მოემზადეთ საკუთარი აზრის დასაცავად. დღეს საკმაოდ დატვირთული, მაგრამ ნაყოფიერი დღე გელით. გახსოვდეთ, რომ ნებისმიერ სირთულეს დაძლევთ, თუ მას შეეჭიდებით. დღის მეორე ნახევარში, შესაძლოა, ახალი, პერსპექტიული ნაცნობობა ან მოულოდნელი შეხვედრა.

სასწორი — შესაძლოა, გარკვეული ვითარების გამო, ჩაგიგარდეთ საკმაოდ რთული პროექტი. ეს იმიტომ კი არ მოხდება, რომ მასთან გამკლავებას ვერ შეძელით, უბრალოდ, ის ნაადრევი იყო. ახე რომ, ცოტა მოითმინეთ და მოიფიქრეთ, ხომ არ ღირს ამბიციების მოთოკვა? თუ ამ რჩევას ყურად იღებთ, აუცილებლად მიიღებთ დადებით შედეგებს.

ღრიანკალი — თუ შეძლებთ, რომ მთავარი მეორეხარისხოვანისგან გაარჩიოთ და არც ისე მნიშვნელოვანი მსხვერპლი გაიღოთ ძირითადი საქმისთვის, ამით არა მხოლოდ პრობლემების გორგალს გამოხსნით, არამედ გაოცდებით კიდეც, უამრავი ახალი შემოთავაზებით.

მშვილდოსანი — არჩევანის გაკეთებისას ენდეთ მხოლოდ საკუთარ ინტუიციას. ამასთან, მნიშვნელოვანია გათვალისწინოთ, რომ თუ თქვენ საქმეს მოაქვს შემოსავალი, მაგრამ შინაგან კმაყოფილებას ვერ გრძნობთ, სჯობს, ეს საქმე აღარ გაგრძელოთ.

თხის რქა — გამოიჩინეთ სიფრთხილე ფასიან ქაღალდებთან და მნიშვნელოვანი კონტრაქტების ხელმოწერისას, ასევე შეეცადეთ, ახალი პარტნიორები წინასწარ „გამოიძიოთ“. მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით რაციონალიზმი და საღი აზრი შესაძლებლობას მოგცემთ, გაუმკლავდეთ კაზრდილ დატვირთვას სამსახურში და წარმატებასაც მიაღწიოთ.

მერწყული — დღეს თავმობეზრებული პროექტის დახურვა ძალიანაც რომ გინდოდეთ, მაინც ნუ აჩქარდებით. შესაძლოა, რაიმე მნიშვნელოვანი გამოგეპაროთ და თუ შეცდომას დაუშვებთ, მერე მისი გამოსწორება ძალიან გაგიჭირდებათ. თავაზიანი იყავით გარშემომყოფების მიმართ.

თევზები — ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს. იმოქმედეთ უურადღებით და არსებული ვითარების შესაბამისად. თუმცა, ამის გაკეთება ძალიან გაგიჭირდებათ, რადგან ემოციების მოთოკვა გიჭირთ. მაინც მოგიწევთ დამატებითი რეზერვების მობილიზება და არამდგრადი წონასწორობის შენარჩუნება.

ტაძარში სიარული სიყოყხლეს გვიხანგრძლივებს

მკვლევარების უჩვეულო და საინტერესო რჩევები შევიდა წიგნში, რომელსაც ასე ჰქვია - „როგორ მოვიმატოთ სიცოცხლის წლები“ და რომელიც წლეულს უნდა გამოვიდეს დიდ ბრიტანეთში. თუ გინდათ ცხოვრება 8 წლით გაიხანგრძლივოთ, იყავით ოპტიმისტები, — ასეთ რჩევას ამერიკელი მეცნიერები გვაძლევენ მაიოს კლინიკიდან. მათ დაადგინეს, რომ პესიმისტებს არა მარტო საინტერესო და პოზიტიური მოვლენებით დატვირთული ცხოვრება აქვთ, არამედ ნაკლებადაც ავადმყოფობენ. როგორც აღმოჩნდა, ადამიანის განწყობასა და მის გარესამყაროსთან დამოკიდებულებას პირდაპირ უკავშირდება იმუნური სისტემის მდგომარეობა. აიოვას უნივერსიტეტის სწავლულებმა კი დაადგინეს, რომ „აქტიური“ რწმენა ადამიანს შვიდი წლით გაუხანგრძლივებს სიცოცხლეს. თურმე, ყოველკვირეულად ტაძარში სიარული და წირვა-ლოცვაზე დასწრება სასიკეთო გავლენას ახდენს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ხოლო თუ ეკლესიას მედიტაციით შეცვლით, ეს დამატებით მხოლოდ სამ წელიწადს გაჩუქებთ. დასავლელმა მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ აქტიური გონებრივი საქმიანობა, რომელიც გაზეთების კითხვას, მუზეუმებში სიარულს, კროსვორდების ამოხსნას, ინტერნეტში მუშაობას და სხვა მსგავსს გულისხმობს, გვაძლევს შანსს, ასევე შვიდი წელი „მოვიმატოთ“. ამასთან, 50%-ით მცირდება ალცჰეიმერის დაავადების განვითარების ალბათობა ხანდაზმულ ასაკში.

ყოვლისშემძლე საწოლი შექმნეს

კომპანია Leggett & Platt-მა მაღალტექნოლოგიური საწოლი წარმოადგინა. ეს უჩვეულო გამოგონება არა მარტო ხარისხიანად დასვენების საშუალებას იძლევა, არამედ ჩაერთვება ინტერნეტში, აქვს აი-პოდ-ფლეერის დოკმონყობილობა, დინამიკების სისტემა ძლიერი ხმით და ელ-სიდი-პროექტორი. თუ ვინმეს ეს ყველაფერი არასაკმარისად მოეჩვენება, გეტყვით, რომ საწოლს ვიდეო და ციფრულ ფორმატში ჩანაწერების გაკეთებაც შეუძლია. თუმცა, მისი შესაძლებლობები ამით არ ამოიწურება — საწოლს ხვრინვაც „ესმის“ და ამ შემთხვევაში სიბრტყეს ხრის, როცა ხვრინვა შეწყდება, ის პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება. ამ საოცარი საწოლის შეძენა მომავალი წლიდან იქნება შესაძლებელი. მისი ღირებულება 20-დან 50 ათას დოლარამდეა.

ჰოროსკოპი
9 ივლისი

ვერძი — შეეცადეთ, ობიექტურად შეაფასოთ ვითარება. გამოიჩინეთ ტაქტი და გულკეთილობა. ნუ გაბამთ ინტრიგების ქსელს, ამით თავადვე დაზიანდებით.

კურო — თუ გუავთ ისეთი მეგობრები, ვინც გარკვეული მიზეზების გამო, დიდი ხანია აღარ გინახავთ, დაპატიჟეთ ისინი დღეს სტუმრად. უფრო მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ თავს და ჯანმრთელობას.

ტყუპები — დღეს გადადეთ ნებისმიერი ფინანსური პრობლემის მოგვარება. ნუ მოაწერთ ხელს სბუთებს, ხელშეკრულებებს. მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო პრობლემები. დაბრკოლებებს ვერ გაექცევით, ამიტომ მოემზადეთ მათ დასაძლევად.

კირჩხიბი — დღეს არახელსაყრელი დღეა საქმეში აქტიურობისთვის და მიზნის მიღწევისთვის, სჯობს, დღე საკუთარ თავს მიუძღვნათ, აიღეთ შვებულება და დასვენეთ.

ლომი — დღე ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ. გაანებივრეთ ისინი მზრუნველობითა და ყურადღებით. დღე ბევრ სიურპრიზს, მხიარულებას გეპირდებათ და ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში.

ქალწული — დღეს არსებობს ემოციური სტრესის მიღების შანსი. კოლეგებთან თავშეკავებული იყავით. მეტი ყურადღება დაუთმეთ ბავშვებს. დღეს აუცილებელია აღიჭურვოთ მოთმინებით, თავი რომ აარიდოთ კონფლიქტს ახლობლებთან ან საკუთარ თანამშრომლებთან.

სასწორი — დღევანდელი დღე გამძლეობას შეგმატებთ, რაც ბევრი საკითხის გადაწყვეტაში დაგეხმარებათ. დიდი ყურადღება გამოიჩინეთ საქმეში, რადგან ელემენტარულმა შეცდომამ, შესაძლოა, დიდი ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს. მიმდინარე საქმეები მარტივი, მაგრამ შემოსავლიანი აღმოჩნდება. სიფრთხილე გამოიჩინეთ საყოფაცხოვრებო ქიმიასთან.

ღრიანკალი — დღეს ფიზიკური დატვირთვა სიამოვნებას მოგანიჭებთ, ასე მომეტებულ დაძაბულობასაც მოიხსნით. არ არის გამორიცხული, სადამო ახლობელ ადამიანთან ერთად რომანტიკულ ვითარებაში, სნთლების შუქზე გაატაროთ.

მშვილდოსანი — დღე არც ისე დაძაბული იქნება და ის ეფექტურად ჩაივლის, თუ საკუთარ პოტენციალს სრულად გამოამჟღავნებთ. დღეს იმ საქმეებს მოაგვარებთ, რისთვისაც ფიზიკური დატვირთვაა საჭირო.

თხის რქა — დღეს დიდი ყურადღება გამოიჩინეთ საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ. მოერიდეთ დაუფიქრებელ დაპირებებს, ნუ აჰყვებით სუფიდებს. გარდა ამისა, თქვენი ახლობლები მოგმართავენ რჩევისთვის და უარს ნუ ეტყვით მათ დახმარებაზე.

მერწყული — სავსებით შესაძლებელია, რომ დღე კონფლიქტით დაიწყოს. ტეუილი და არაგულწრფელობა არ გიშველით — ამით მხოლოდ ავნებთ საკუთარ თავს.

თევზები — დღეს ყველაზე რთული საქმის დაწყებას შეძლებთ. ყველა საკითხი, დიდი ალბათობით, თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება. შესაძლებელია, რთული სუბარი უფროსობასთან, რაც სბოლოოდ, წაგადგებათ კიდეც და ხელს შეუწყობს თქვენი რეპუტაციის გაძყარებას.

ცოლთან ყოფნას ციხე არჩია

რა უნდა ქნას მამაკაცმა, რომელსაც საშინლად მობეზრდა ცოლი, მაგრამ მას განქორწინებაზე ვერ ითანხმებს? ამ კითხვაზე პასუხი ბევრნაირი შეიძლება იყოს, მაგალითად, ციხეში ჩავდომა. სწორედ ასე მოიქცა აშშ-ს პენსილვანიის შტატის მცხოვრები ენტონი მილერი, რომლის მეუღლეც კატეგორიული წინააღმდეგია გაყრის და თავის მოკვლითაც იმუქრებოდა, თუ ქმარი ამ ნაბიჯს სასამართლოს დახმარებით გადადგამდა. მაშინ სასოწარკვეთილმა, 39 წლის მამაკაცმა დანაშაულის ჩადენა და ციხეში წასვლა გადაწყვიტა. შესაბამისი „აღჭურვილობა“ — ნიღაბი და სათამაში პისტოლეტი იშოვა და ბანკის გასაძარცვად გაეშურა. მოლარის დაყაჩაღების შემდეგ, მან პოლიციის გამოძახება მოითხოვა და შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცავებს ჩაბარდა. სასამართლოზე, სადაც მილერს სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს, ბრალდებულმა განაცხადა, რომ ურჩევნია ციხეში წავიდეს, ვიდრე მობეზრებულ ცოლთან ერთად იცხოვროს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

2	9	8	7	6	5	4	3	1
7	1	6	4	2	3	5	9	8
5	4	3	9	1	8	2	7	6
6	2	1	3	9	4	8	5	7
9	3	7	8	5	2	6	1	4
8	5	4	1	7	6	3	2	9
1	8	5	6	3	9	7	4	2
4	7	2	5	8	1	9	6	3
3	6	9	2	4	7	1	8	5

საშუალო

4	5	6	3	2	1	9	8	7
3	1	9	4	8	7	6	2	5
8	2	7	9	6	5	3	4	1
2	6	1	5	9	4	8	7	3
9	3	5	8	7	6	2	1	4
7	4	8	2	1	3	5	9	6
6	9	4	1	3	2	7	5	8
1	8	3	7	5	9	4	6	2
5	7	2	6	4	8	1	3	9

რთული

4	8	6	3	7	2	1	9	5
1	5	3	9	8	6	7	4	2
9	2	7	5	1	4	8	3	6
8	9	5	7	4	3	6	2	1
6	7	4	2	5	1	3	8	9
2	3	1	6	9	8	5	7	4
3	1	2	4	6	7	9	5	8
7	6	9	8	2	5	4	1	3
5	4	8	1	3	9	2	6	7

ეჭვჯერადი

5	1	4	6	2	3	9	8	7
6	3	9	1	8	7	5	4	2
8	7	2	4	5	9	3	1	6
7	9	3	5	6	8	4	2	1
4	6	1	9	3	2	8	7	5
2	8	5	7	1	4	6	3	9
9	5	8	3	7	1	2	6	4
3	4	7	2	9	6	1	5	8
1	2	6	8	4	5	7	9	3

მე-13 გვერდი: 1. პანტა; 2. პერგამენტი; 3. ნინია; 4. აფიშა; 5. პრიზმა; 6. რეკლამა; 7. ზვერევა; 8. ბრენდი; 9. ვირი; 10. ზანზალაკი; 11. ეკლერი; 12. როშე; 13. ხინკალი; 14. ავაზა; 15. „ტვიქსი“; 16. „ანტრე“; 17. მარეხი; 18. ირიდა; 19. ომი; 20. მოვი; 21. ზვინი; 22. ჩარი; 23. ამაო; 24. ბეკინა; 25. ანაშა; 26. ქრისტიანინა; 27. ნარიშკინა; 28. ჩაი; 29. ბულიმია; 30. ლევან თედიაშვილი; 31. მარსი; 32. ისრიმი; 33. ბაო; 34. „ივერია“; 35. მასრა; 36. ლეი; 37. ქინქლა; 38. რასა; 39. აბო; 40. ომსკი; 41. ამნერისი; 42. ნაია; 43. კისა; 44. ირა; 45. იფრიკია; 46. იონოსფერო; 47. ხეოფსი; 48. აკვანი; 49. სირმა; 50. ხვითო; 51. დრიუ; 52. მენისკი; 53. ტუში; 54. დერმა; 55. დესაი; 56. რეა; 57. კორეა; 58. ნოინი; 59. იაუნდე; 60. ფიჩინი; 61. ტუია; 62. მესია; 63. კიო; 64. ნინო; 65. სასა; 66. იეტი; 67. გენუა; 68. ნოა; 69. ფეი; 70. დევკალიონი; 71. ოში; 72. სონა; 73. ბრედ; 74. იდეა; 75. ბიანკა; 76. კუ; 77. რარიტეტი; 78. კოინე; 79. ალიონი; 80. ერბო; 81. არ; 82. არილი; 83. გრიე; 84. დარი; 85. კუბდარი.

სუდოკუ

ადვილი

	6	7			8	1		
			3		2			4
					1			2
		5				9	1	8
		4		6		5		
7	2	1				4		
8			7					
4			5		6			
		6	8			7	9	

სტანდარტი

						8		5
			6	4			1	7
	6				1		4	
1				9				6
	9			2			8	
2				3				4
	7		4				2	
3	4			5	8			
9		2						

რთული

6	1		9				3	
2		9		1		8		
7	9	4		8	3	2		
		2				6		
		1	7	2		3	9	8
		7		5		1		6
	2				9		4	3

ექსპერტი

		4		9	5	3		
		3		1		4	9	8
	9				7			
			5			7		9
				4				
8		5			3			
			1				4	
2	8	1		7		9		
		9	3	5		1		

ყოცნა სასარგებლო ყოფილა

გარდა იმისა, რომ კოცნა სიამოვნებაა, აღმოჩნდა, რომ იგი სასარგებლოც ყოფილა. კოცნის დროს ერთი ადამიანიდან მეორეზე 274 სახეობის ბაქტერია გადადის, მაგრამ, საბედნიერიდ, არც ერთი მათგანი არ არის ჯანმრთელობისთვის საშიში, რადგან ნერწყვში შემავალი ინფექციები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. კოცნის დროს ორგანიზმი გამოიმუშავებს ნეიროპეპტიდებს, რომლებიც ამარცხებენ მტრულად განწყობილ ბაქტერიებსა და ვირუსებს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ კოცნის დროს ძლიერდება იმუნიტეტი და ტკივილიც ყუჩდება. ამასთან, ნეიროპეპტიდებს ერთი თავისებურებაც აქვს — შეუძლია ნებისმიერ ნარკოტიკზე უფრო მეტად დაგახვიოთ თავბრუ. ამერიკელი მეცნიერების თქმით, თუ კოცნა სამ წუთს გრძელდება, 12 კალორიას დაწვავთ, გაავარჯიშებთ 14 კუნთს და გაიხანგრძლივებთ სიცოცხლეს. სტატისტიკის მიხედვით, ადამიანები ვნებით პირველად, საშუალოდ, 14 წლის ასაკში კოცნიან. გამოკითხვებით დადგინდა, რომ მსოფლიოში ყველაზე მეტ დროს კოცნას გერმანელები უთმობენ. კოცნაში მსოფლიო რეკორდი ამერიკელ მამაკაცს ეკუთვნის, რომელმაც 8 საათის განმავლობაში 8001 ქალს აკოცა.

გასახდოში შოკოლადი დააშზადეს

ესპანეთის საკონდიტროებში მალე გაყიდიან ახალ ტკბილეულს, რომელიც ადამიანს გახდომაში დაეხმარება. შოკოლადი Lola Chocs, რომელსაც ესპანური კომპანია Covcoa BIO აწარმოებს, ნატურალური ინგრედიენტებისგან არის დამზადებული და ჩვეულებრივი საკონდიტრო ნაწარმის გემო აქვს. მისი უპირატესობა ისაა, რომ შოკოლადის შემადგენლობაში შედის დანამატები, რომელიც შიმშილის გრძნობას ახშობს. ტკბილეული, რომელიც პერუსა და სანტადომინგოში მოყვანილი კაკაოსგან არის დამზადებული, უჩვეულო, მომწვანო ფერი აქვს, რომელსაც მას განსაკუთრებული მიკროსკოპული წყალმცენარეები აძლევს. ისინი შეიცავს საკვებ ნივთიერებებს, მაგალითად, და 12 ვიტამინებს, რომელიც ადამიანს წონის მოკლებაში ეხმარება. შოკოლადის მწარმოებლების თქმით, სპეციალური ამინომჟავები მომხმარებლის ტვინს ატყუებს და ისეთ შეგრძნებას უჩენს, თითქოს ის კარგად დანაყრებულია. ადამიანმა ეს შოკოლადი ჭამამდე ერთი ან ორი საათით ადრე უნდა მიირთვას, ეფექტი რომ მოახდინოს. ესპანელმა კონდიტრებმა Lola Chocs უკვე წარადგინეს მადრიდის გამოფენაზე, სადაც ის დიდი სიამოვნებით დააგემოვნეს შოკოლადის მოყვარულებმა. კომპანია იმედოვნებს, რომ გასაყიდად შოკოლადის პარტიას სულ მალე გამოუშვებენ.

თევზის ქონი დეპრესიას აგარიდებთ

თევზის ქონის ყოველდღიური მოხმარება დეპრესიის განვითარებას აფერხებს, ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანზე კი ის სამკურნალო ეფექტს ახდენს, — ასეთ დასკვნებს ბერგენის უნივერსიტეტის სწავლულები აკეთებენ 22 ათას მოხალისეზე ჩატარებული კვლევის შემდეგ. 40-დან 74 წლამდე ასაკის ადამიანებზე ორწლიანმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ყოველდღიურად თევზის ქონის მიღების შემდეგ, მოხალისეებს დეპრესიის სიმპტომები 30%-ით ნაკლებად აღენიშნებოდათ. მეტიც, რაც უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხდებოდა ამ საშუალების მიღება, მით უფრო უმჯობესდებოდა დეპრესიული პაციენტების ემოციური მდგომარეობა. მეცნიერთა აზრით, თევზის ქონის დადებითი გავლენა უპირველესად, მის შემადგენლობაში არსებული ომეგა-3 ცხიმმჟავების დამსახურებაა. ეს ნივთიერებები ბევრ სასიკეთო ეფექტს ახდენს: მიიჩნევა, რომ ცხიმმჟავები ინსულტის, ინფარქტისა და ონკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკს ამცირებს.

უპასუხისმგებლო თანამშრომლების ბაზა შექმნეს

აშშ-ს მსხვილი სავაჭრო ქსელების მფლობელებმა, ერთობლივი ძალისხმევით, ერთიანი ონლაინბაზა შექმნეს, რომელშიც უპასუხისმგებლო თანამშრომლები შეიყვანეს, ისინი, ვინც სამსახურში ქურდობაში არიან შემჩნეულნი. წინასწარი მონაცემებით, მხოლოდ 2011 წელს ამერიკული სავაჭრო ქსელები, საკუთარმა თანამშრომლებმა 15 მილიარდზე მეტი დოლარით აზარალეს. ასეთი ბაზის შექმნის შემდეგ, სამსახურში პერსონალის მიღებისას, კანდიდატებს ამ ონლაინსიაში მოიკითხავენ. ბაზა არ არის ხელმისაწვდომი გარე მომხმარებლებისთვის, რათა დაინტერესებულმა პირებმა მასში შესწორების შეტანა ვერ მოახერხონ. გარდა ქურდობაში შემჩნეული ადამიანებისა, ამ ბაზაში შეყავთ ისეთი თანამშრომლებიც, ვინც უპასუხისმგებლოდ ექცევა საკუთარ სამუშაოს — აგვიანებს, აცდენს, ბიულეტენს, გამოსასვლელ დღეებს იღებს, ხშირად ეთავისუფლება უფროსობას „საყვარელი ბებიის დაკრძალვაზე“ წასასვლელად. ბაზა ჯერ მხოლოდ ორიოდე თვეა, რაც ამოქმედდა და წარმატებაზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმცა ამ დროისთვის სიაში უკვე ათასობით უსინდისო თანამშრომელია შეყვანილი.

ქირურგმა ოცნების ქალი „გამოძერწა“

ჩვეულებრივ, მამაკაცები თვალსა და გულს ახარებენ ქალებით, რომელთა იდეალური სხეული ჟურნალების გარეკანს ამშვენებს, ხოლო ქორწინდებიან სულ სხვებზე, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც მზად არის, პიგმალიონივით, ჩვეულებრივი გოგონასგან ცოლი საკუთარი გამოვნებით „გამოძერწოს“. თუმცა, ამ ცნობილი პერსონაჟისგან განსხვავებით, თანამედროვე პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგია ამის დიდ შესაძლებლობას იძლევა. ვიდრე 33 წლის ამერიკელი კანი საკუთარ მეუღლეს, 48 წლის რეზუ ვოსოგას შეხვდებოდა, ის არაფრით გამორჩეული სუსტი სქესის წარმომადგენელი იყო. პატარა მკერდი, შესამჩნევი მუცელი, განიერი თეძოები. ყველაზე მეტად კი ქალს ქუთუთოები არ მოსწონდა და მისი კორექტირება გადაწყვიტა. სწორედ მაშინ, ქირურგს კლიენტის „ახალი“ თვალები ისე მოეწონა, რომ მალევე დაქორწინდა მასზე და მეორე ნახევრის სრულყოფილებაზე დაიწყო მუშაობა. ლიპოსაქცია, სილუეტის კორექცია, მკერდის გადიდება, ნაოჭების გასწორება, ზედა ტუჩის ყოველწლიური კორექცია... დღეისათვის კანის „გამოძერწვაში“ ზუსტად 20 ათასი ევროა ჩადებული, მაგრამ ამბობენ, „მადა ჭამაში მოდისო“ და ქირურგი ქმარიც მიღწეულით არ კმაყოფილდება, მით უმეტეს, რომ კიდევ უფრო დახვეწა-გალამაზების წინააღმდეგი არც მისი მეორე ნახევარია.

ლიბერთი ბანკისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი პროექტი

ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი არველაძემ და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს.

ლიბერთი ბანკის ხელშეწყობით, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სარგებლობაში არსებული დარბაზი, 50-მდე თანამედროვე კომპიუტერით აღიჭურვება, ხოლო დარბაზს „ლიბერთი ციფრული დარბაზი“ დაერქმევა (Liberty Digital Hall). დარბაზში მისულ მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ, გაეცნონ ციფრული ტექნოლოგიების უახლეს ამბებს, მიიღონ მეტი ინფორმაცია აკადემიური და პროფესიული განვითარებისთვის, იქვე გამოსცადონ ინოვაციური ელექტრონული პროდუქტები და მობილური აპლიკაციები. შესაბამისად, „ლიბერთი ციფრული დარბაზი“, ახალგაზრდა პროფესიონალების, სტუდენტებისა და აბიტურიენტების თავშეყრის საინტერესო ადგილი გახდება.

ლიბერთი ბანკი და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა „ლიბერთი ციფრული დარბაზის“ მაქსიმალურ პოპულარიზაციას ერთობლივად შეუწყობენ ხელს. ამ მიზნით, დარბაზში სხვადასხვა სახის აქციები და ღონისძიებები განხორციელდება. მათ შორის, ლიბერთი ბანკი აპირებს, დარბაზის სტუმრებისთვის, წელიწადში რამდენჯერმე, ტრეინინგ-სემინარები ჩაატაროს. სემინარები მიეძღვნება ციფრულ ტექნოლოგიებში სიახლეებისა და ამ მიმართულებით საქართველოში არსებული შესაძლებლობების განხილვას.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ლიბერთი ბანკის ახალი სერვისცენტრი ქუთაისში

ლიბერთი ბანკი ფილიალებისა და სერვის ცენტრების ქსელის მოდერნიზებასა და გაფართოებას განაგრძობს.

ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ზურაბ წულაიამ ქუთაისში, გრიშაშვილის ქ. 37-ში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სერვისცენტრი გახსნა, რომელიც სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. სერვისცენტრში შესაძლებელი იქნება ყველა სახის სესხის აღება, საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების სისტემებით სარგებლობა, სხვადასხვა ტიპის დეპოზიტების გახსნა, კომუნალური გადასახადების დაფარვა.

2012-2013 წლებში ლიბერთი ბანკმა მთელი საქართველოს მასშტაბით 30-ზე მეტი ახალი ფილიალისა და სერვისცენტრის გახსნა და მოდერნიზება მოახდინა. ლიბერთი ბანკს საქართველოში ყველაზე ვრცელი საბანკო ქსელით არის წარმოდგენილი, რომლის მეშვეობითაც 1.4 მლნ ფიზიკურ და 58 000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება.

ლიბერთი ბანკის საბაზრო წილი 2013 წლის მაისის მდგომარეობით, მთლიანი აქტივების მიხედვით 7.2%-ს შეადგენს.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოთოლის – პანფანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოთოლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ოქის მოყვარულს კლასიკა „მიუსაჯეს“

აშშ-ს ქალაქ შემპეინის მუნიციპალურმა სასამართლომ რეპ-მუსიკის მოყვარულ ენდრიუს ვაქტორს ბახის, ბეთჰოვენისა და შოპენის კლასიკური ნაწარმოებების მოსმენა მიუსაჯა. ასეთი სასჯელი ახალგაზრდამ იმის გამო დაიმსახურა, რომ საკუთარ მანქანაში ძალიან ხმამაღლა უსმენდა საყვარელ მუსიკალურ მიმდინარეობას. თავიდან ენდრიუს 150-დოლარიანი ჯარიმა ემუქრებოდა, თუმცა, მოსამართლემ განსასჯელს მისი შემცირება 35 დოლარამდე იმ პირობით შესთავაზა, თუკი ის 20 საათის განმავლობაში „კლასიკას“ მოუსმენდა. მაგრამ რეპის მოყვარულმა ბეთჰოვენისა და მისი კოლეგების შემოქმედებას მხოლოდ 15 წუთი გაუძლო — კლასიკის მოსმენას ისევ ფულის გადახდა ამჯობინა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.